პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 47-ე წელი | № 293 (13677) | კვირა, 25 დეკემბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თორმეტმა საბჭოთა ადამიანმა ოცდათექვსმეტი საათი ცხელ ღუმელში გაატარა, რათა ქუთაისის ლითოფონის ქარხანას შეუფერხებლად ემუშავნა. თორმეტმა ადამიანმა თავიანთი სიცოცხლე სასწორზე დადო, რათა დაზიანებული ღუმელი აღედგინათ.

სურათზე: ლითოფონის ქარხნის მუშაკთა ერთი ჯგუფი, რომელმაც ღუმელის შეკეთებისას გამოიჩინა შრომითი მამაცობა (მარცხნიდან): ბარიუმის საამქროს უფროსი პ. კაცაძე, მეღუმელეთა ოსტატი ი. ქობულოვი, ზეინკალთა ბრიგადირი პ. ბარამიძე, მეაპარატე დ. ჩარკვიანი, ქარხნის დირექტორი გ. ძიმისტარიშვილი, მეღუმელე პ. კურპინი, შემდუღებელი გ. დოხნაძე, მეაპარატე გ. ამბროლაძე, მეღუმელე ნ. ჟვანია და სარემონტო-სამშენებლო საამქროს უფროსი გ. ასათიანი.

ფოტო ს. კილაძისა.

# კომუნისტები მუდამ წინ არიან!

**ვასილ მჟავანაძე,**
**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი**

◆

მიმდინარე წლის სექტემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა იმსჯელა კომუნისტთა ავანგარდული როლის საკითხზე. ეს პრობლემა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით რომ განიხილა, პლენუმმა დასახა ღონისძიებანი პარტიის წევრთა და კანდიდატთა აქტივობის შემდგომი გაძლიერებისათვის კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

რატომ სწორედ ეს საკითხი გვეჩვენა ყველაზე მნიშვნელოვნად, რატომ სწორედ მას, ჩვენი თვალსაზრისით, მიენიჭა განსაკუთრებული მნიშვნელობა და შეტანილ იქნა მორიგი პლენუმის განსახილველად? ჩვენ ვემყარებოდით იმას, რომ ახლა, როცა სკკპ XXIII ყრილობამ დასახა პარტიის პოლიტიკური, ეკონომიური, იდეოლოგიური და ორგანიზატორული საქმიანობის მორიგი ამოცანები, დასაწყისი მისცა კომუნისტური მშენებლობის ახალ ეტაპს, კოლექტიურად შეიმუშავა პარტიის პოლიტიკური ხაზი უახლოესი წლებისათვის, საქმის წარმატება მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია პარტიული ორგანიზაციების იმ უნარზე, რომ ბეჯითად, დღითიდღე ცდილობდნენ მიაღწიონ რეალურ, კონკრეტულ შედეგებს პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ახლა საქმე ის არის, თუ რამდენად აქტიურად იმოქმედებს ყველა კომუნისტი, რამდენად უნარიანად ჩაუდგებიან ისინი სათავეში საბჭოთა ხალხის ბრძოლას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ყრილობისა, რომელიც ღირსშესანიშნავ ნიშანსვეტად შევიდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ახალი ძალით ცხადყო პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა.

სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ ერთი წელიწადიც არ გასულა, მაგრამ უკვე დღეს მთელი მსოფლიო ხედავს, თუ როგორ ხორციელდება ყრილობის გადაწყვეტილებები, თუ როგორ სრულდება ახალი ხუთწლედის გეგმები. ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელება აიხსნება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ეს გადაწყვეტილებანი რეალისტური, მეცნიერულად დასაბუთებულია, მათ ერთსულოვანი გამოხმაურება ჰპოვეს კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის გულში, გამოიწვიეს ახალი ძალების მომატება, ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა. ჩვენი ქვეყნის მშრომელები მხურვალედ იწონებენ პარტიის გეგმებს და ხუთწლედი თავიანთ ღვიძლ, სისხლხორცეულ საქმედ მიაჩნიათ. კომუნისტების ავანგარდული როლი იმაში მდგომარეობს, რომ სათავეში ჩაუდგნენ ამ შრომითს აღმავლობას, გაიყოლიონ მშრომელთა მასები.

აქ მინდა შევნიშნო, რომ შინაპარტიული მუშაობის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული საქმიანობის საკითხები მუდამ არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყურადღების ცენტრში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც იბრძვის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებისათვის, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების ზუსტი დაცვისათვის, უკანასკნელ ხანს თავის პლენუმებზე განიხილა ისეთი საკითხები, როგორიც არის კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესება; კომუნისტების მიერ შესრულება სკკპ წესდების მოთხოვნებისა პარტიის წევრების მოვალეობათა და უფლებათა შესახებ; პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესება. ამ პლენუმების გადაწყვეტილებებმა დიდი როლი შეასრულეს მთელი ორგანიზაციულ-პარტიული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის განმტკიცებაში, ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს იგი და ხელი შეუწყეს კომუნისტების დარაზმვას რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგომი პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისათვის.

ახლა კი, განვიხილეთ რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე საკითხი „კომუნისტთა ავანგარდული როლის შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა შესახებ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“ ამით ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს ერთხელ კიდევ მივაპყრობინეთ ყურადღება იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მინდობილი საქმისათვის, თავისი პარტიული ორგანიზაციისა და მთლიანად პარტიის საქმეებისათვის თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობის ყოველი ღონისძიებით გაძლიერებას. თვითეული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ჩაუნერგოს პარტიის წევრებს მაღალი მოვალეობის გრძნობა, მის შეგნება, რომ როცა პარტია კომუნისტს მუშაობის ამა თუ იმ უბანს ანდობს, ამით მას უცხადებს მაღალ ნდობას, რომელიც მან თავისი საქმიანობით უნდა გაამართლოს.

დღეს, როცა ჩვენი პარტია, საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხი ეგებება ორ დიდ თარიღს — ოქტომბრის 50-ე წლისთავს და ვ. ი. ლენინის დაბადების მეასე წლისთავს, — ჩვენ სიამაყით ვავლებთ თვალს პარტიისა და ხალხის მიერ განვლილ ბრძოლისა და გამარჯვებების გზას, რომელთა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია ყველა ეტაპზე კომუნისტების ლენინური პარტია. რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე ზრდის პარტია კადრებს, კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს.

და თუ გადავფურცლავთ ისტორიას, თვალწინ წარმოგვიდგება ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრების ბევრი ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტი, და თვითეულ ისტორიულ ზღუდეზე, მკაცრ განსაცდელთა ყველა წლებში, რომლებიც წილად ხვდა ჩვენს ქვეყანას, კომუნისტები მუდამ წინ იყვნენ.

ასე იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იერიშის მისატანად აღმდგარი მუშათა კლასის პირველი ორგანიზებული გამოსვლების წლებში, დიდი ოქტომბრის დღეებში, რომელმაც დაამხო ძველი წყობილება და გამოაცხადა, რომ დაიწყო ახალი ერა, განთავისუფლებული კაცობრიობის ერა, რომ იშვა ახალი ქვეყანა, საბჭოების ქვეყანა, — კომუნისტები წინ მიდიოდნენ!

ასე იყო სამოქალაქო ომის წლებში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის გარშემო სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა ინტერვენტთა ცეცხლის რკალი, როცა წარმოებდა გააფთრებული კლასობრივი ბრძოლა კონტრრევოლუციის ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეხრჩოთ საბჭოთა ხელისუფლება, და როცა ხალხი აღდგა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად, — ამ გმირულ ბრძოლაში კომუნისტები წინ მიდიოდნენ!

ასე იყო სახალხო მეურნეობის აღდგენის წლებში, პირველი ხუთწლედების სახელოვან წლებში, როცა უმაგალითოდ მოკლე ვადებში განხორციელდა გარდაქმნები, რომლებიც არ ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში, — ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია, — მაშინაც კომუნისტები წინ მიდიოდნენ!

ასე იყო დიდი სამამულო ომის წლებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი პარტიის მოწოდებით აღდგა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად, როცა განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის მძლავრი კავშირი, ხალხთა ურღვევი მეგობრობა, როცა საბჭოთა ადამიანები ყოველი გოჯი წმიდათაწმიდა საბჭოთა მიწისათვის ბრძოლებში გმირობისა და მამაცობის სასწაულებს ახდენდნენ, — როგორც ყოველთვის, კომუნისტები წინ მიდიოდნენ!

ასეა ახლაც, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, როცა განუზომლად გაიზარდა კომუნისტური პარტიის როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის როლი და მნიშვნელობა, როცა ხორციელდება კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამა, რომელიც სკკპ XXIII ყრილობამ დასახა, როცა ჩვენი სოციალისტური ეკონომიკა და კულტურა იპყრობენ სულ ახალ და ახალ ზღუდეებს, დასახულს სათვალავით მერვე ხუთწლედით, — ჩვენს დროშიც კომუნისტები წინ მიდიან!

კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის ავანგარდი, მისი მოწინავე რაზმია, თვითეული კომუნისტი კი მებრძოლია ამ რაზმში, და, როგორც ყოველი მებრძოლი, იგი უნდა იმყოფებოდეს ყველაზე მოწინავე პოზიციებზე, კომუნიზმისათვის, მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის წინა ხაზზე. კომუნისტი უწინარეს ყოვლისა უნდა იყოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითი, ვინაიდან პირველ რიგში სწორედ შრომაში ვლინდება პარტიის წევრის ავანგარდული როლი.

კომუნისტი ის ადამიანია, რომელიც ყოველ საქმეს მხურვალედ, სულით და გულით ჰკიდებს ხელს, სურს გააკეთოს იგი რაც შეიძლება უკეთ, მოახმაროს მას მთელი თავისი ძალები, თავისი ცოდნა, თავისი ენერგია. იგი ყოველ საქმეში იჩენს ინიციატივას, გამოდის როგორც წამომწყები ყოველივე ახლისა, მოწინავისა, პროგრესულისა, ძვირფას წამოწყებათა, სასარგებლო წინადადებათა მხურვალე მომხრეა. ამასთან ერთად პარტიის წევრმა თავდადებული შრომისათვის უნდა დარაზმოს ისინი, ვინც მის გვერდით მუშაობს, მაგალითი უნდა იყოს ყველაფერში, უნდა იყოს კარგი, უნარიანი ორგანიზატორი, მასების წინამძღოლი.

კომუნისტი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეა, ბოლომდე ერთგულია პარტიის საქმისა, ხალხის საქმისა, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისა, კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებისა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისა. მას ახასიათებს ღრმა იდეური რწმენა — ყველაზე ძვირფასი თვისება პარტიის წევრისა, რომელსაც მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ კომუნისტური იდეები კომუნისტური საქმეებით უნდა განმტკიცდეს.

კომუნისტი უნდა იყოს ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელი, ყველა საქმეში იჩენდეს კომუნისტურ პრინციპულობას, თანმიმდევრულად, ბოლომდე იცავდეს პარტიულ თვალსაზრისს, გულისხმიერად უგდებდეს ყურს კრიტიკულ შენიშვნებს და იღებდეს გადამწყვეტ ზომებს ყველა და ყოველგვარ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კომუნისტი უნდა იბრძოდეს ყოყოჩობის, მედიდურობის, ზერელეობის, პარადული ხმაურის წინააღმდეგ. კომუნისტს არ შეშვენის მოდუნებულობა, თავშეუკავებლობა, ადამიანებთან ურთიერთობაში უხეშობა. სიმტკიცე და თავდაჭერილობა კომუნისტების დამახასიათებელი ნიშნები უნდა იყოს.

ჩვენში ჯერ კიდევ არიან ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ პარტიის წევრობა მათ რაღაც პრივილეგიებს უნდა აძლევდეს. ასეთებს ერთხელ კიდევ უნდა გავახსენოთ, რომ პარტიის წევრობა კომუნისტს აძლევს მხოლოდ ერთ პრივილეგიას — მუდამ იმყოფებოდეს კომუნისტური მშენებლობის ყველაზე ძნელ უბანზე, კისრულობდეს ყველაზე ძნელ ამოცანებსა და მოვალეობებს და პირნათლად ასრულებდეს მათ! მუდამ მიდიოდნენ წინ და მიუძღოდნენ ყველა დანარჩენებს — აი რა პრივილეგიებით, აი რა უპირატესობებით სარგებლობენ კომუნისტები, რომელთა მოქმედებასა და ქცევას ხელმძღვანელობს მხოლოდ პარტიისა და ხალხის ინტერესები, კომუნისტური იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულება.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ უკანასკნელი წლების მანძილზე შესრულებულ მუშაობას ანალიზი რომ გავუკეთეთ, დღეს შეგვიძლია სიამაყით განვაცხადოთ, რომ იგი ღირსეულად ასრულებს დიადი ლენინური პარტიის მებრძოლი რაზმის როლს, რომ კომუნისტები მუდამ წინ მიდიან, სათავეში უდგანან რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლას ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ მრავალეროვანი საბჭოთა სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში, კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

* * *

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის შრომას, რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

მიმდინარე, 1966 წელი ჭეშმარიტად ღირსშესანიშნავი იყო ქართველი ხალხისათვის, ყველა ჩვენი მშრომელისათვის. ამ წლის სწორედ წინა დღეებში საქართველო დაჯილდოებულ იქნა მეორე ლენინის ორდენით, ხოლო სკკპ XXIII ყრილობის მუშაობის დღეებში სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ იქნა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა დიდი ჯგუფი.

ჩვენი რესპუბლიკა დიდი აღმავლობით შევიდა ახალი ხუთწლედის პირველ წელიწადში. ბევრი სამრეწველო საწარმო, მათ შორის ინდუსტრიის ისეთი გიგანტები, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნები წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს. მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიაღწია წარმოების ზრდას 13,3 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ბევრი ფოლადი, მარგანეცი, ქვანახშირი, სახალხო მოხმარების სხვადასხვა საქონელი. სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლა ძლიერდება დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლასთან ერთად. ახალ სისტემაზე უკვე გადავიდა თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა, თამბაქოს ყველა ფაბრიკა, რამდენიმე სააგჯო საწარმო, აგრეთვე ავტოტრანსპორტის სამინისტროს ხუთი ავტომეურნეობა. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა თბილისის ელმავალსამშენებლო, ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნებში, თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატში, ქარხანა „მიკროძრავში“ და ზოგიერთ სხვა საწარმოში.

მუშაობა გააუმჯობესეს სამშენებლო ორგანიზაციებმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა გადიდდა 10 პროცენტით, ხოლო ძირითადი ფონდები ამოქმედებულია 17 პროცენტის გადაჭარბებით.

გარკვეული მიღწევები აქვთ სოფლის მშრომელებსაც. მიმდინარე წელს რესპუბლიკის მეჩაიეებმა მოკრიფეს 226 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც გეგმას 31 ათასი ტონით აღემატება და შარშან მოკრეფილზე 40 ათასი ტონით მეტია. ხუთწლედის პირველი წელი კარგად დაამთავრეს ჩვენმა მევენახეებმა, რომლებმაც მეღვინეობის მრეწველობას ჩააბარეს 244 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ყურძენი — 54 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ვადამდე შესრულდა სახელმწიფოსათვის ციტრუსოვანთა ნაყოფის, მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ხორცის, მატყლისა და სხვა პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები. წარმატებებია საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაშიც. საქართველო ფართოდ არის წარმოდგენილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, სადაც იგი დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომით.

იმაზე რომ ვლაპარაკობთ, თუ რესპუბლიკისათვის რით იყო შესანიშნავი მიმდინარე წელი, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მწყობრში ჩადგა თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგი. წელს შრომითი მიღწევებისათვის ლენინის ორდენით დაჯილდოვდნენ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის, თბილგვირაბმშენის სამმართველოს და ამიერკავკასიის მეტალურგმშენის № 1 ტრესტის კოლექტივები.

ბევრი რამ გაკეთდა მეცნიერების განვითარების, ტექნიკური პროგრესის დარგში. საქართველოს მეცნიერები წყვეტენ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემებს. სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები მტკიცედ ნერგავენ წარმოებაში თავიანთი ნამუშევრების შედეგებს.

მდიდარი, შინაარსიანია რესპუბლიკის კულტურული ცხოვრება. ნაყოფიერად შრომობენ ჩვენი მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, თეატრალური ხელოვნებისა და კინოხელოვნების მუშაკები. აქ უნდა აღინიშნოს დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი, რომელიც დიდი სიყვარულით აღნიშნა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხმა, მსოფლიოს ყველა ხალხმა. რუსთაველის

(დასასრული მე-2 გვერდზე).



გორის რაიონის მეჭარხლეებმა უამინდობის მიუხედავად გადაჭარბებით შეასრულეს ხუთწლედის პირველი წლის დავალება. ამასთან მნიშვნელოვნად იმატა ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობამ. შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანაში ზედ- [illegible]

სურათზე: [illegible]

# საქართველოს მეციტრუსეთა შრომითი გამარჯვება

შესანიშნავი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს მეციტრუსეებმა. სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და მაისის პლენუმების გადაწყვეტილებებს და ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავად, ციტრუსების უხვი მოსავალი მოიყვანეს, ორგანიზებულად მოაწყვეს ნაყოფის კრეფა და დამზადება.

20 დეკემბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 34.488 ტონა მანდარინი — გეგმის 172,4 პროცენტი, 8.832 ათასი ცალი ლიმონი — გეგმის 157,4 პროცენტი, 2.108 ტონა ფორთოხალი — გეგმის 105,4 პროცენტი.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა და სამრეწველო ცენტრში დადგენილი დავალების გადაჭარბებით გაგზავნილია ათასობით ტონა ციტრუსი.

მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის დამზადებაში თავი ისახელეს ციხისძირის, მუხაესტატეს, ახალშენის, გონიოს, მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობებმა, აჭარის ასსრ სოფლების ულიანოვკის, დაგვის, ახალშენის, ბობოყვათის, ხუცუბნის კოლმეურნეობებმა, აფხაზეთის ასსრ კოხორის, ახალი ათონის საბჭოთა მეურნეობებმა, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ეშერის სასწავლო-საცდელმა მეურნეობამ, სოფლების აჩადარის, პრიმორსკოეს, მაჭარის კოლმეურნეობებმა, მახარაძის რაიონის ნატანების, ურეკის საბჭოთა მეურნეობებმა და სოფლების შრომისა და ნატანების კოლმეურნეობებმა და სხვ.

ციტრუსების დამზადება გრძელდება. (საქდესი).

# გულითადი შეხვედრები

იზმირი, 23 დეკემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). ნაშუადღევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და მისი თანმხლები პირნი ეწვივნენ იზმირის ვილაიეთის გუბერნატორს ნამიკ ქემალ შენთურქს და ქალაქის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეს ოსმან ქიბარს.

საუბრის დროს გუბერნატორმა თქვა, რომ იზმირის ვილაიეთში, ისევე როგორც მთელ თურქეთში, დიდი ყურადღებითა და კმაყოფილებით ადევნებენ თვალყურს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ვიზიტს თურქეთში და იმედოვნებენ, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას.

შემდეგ შენთურქმა სტუმრებს უამბო იზმირის ვილაიეთის, მისი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის შესახებ.

იზმირის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ ოსმან ქიბარმა აღნიშნა იზმირის დიდმნიშვნელოვანი როლი ორი მეზობელი ქვეყნის — თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებაში.

ოსმან ქიბარმა საბჭოთა სტუმრებს გააცნო მუნიციპალიტეტის საქმიანობა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსახლეობის ზრდით იზმირი პირველ ადგილზეა თურქეთის ქალაქებში. იზმირის ვილაიეთი განთქმულია ბუნებრივი სიმდიდრით, თქვა მან, ამიტომ აქ ბევრი ხალხი მოდის თურქეთის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რაიონებიდან. დასასრულ ო. ქიბარმა თქვა, რომ იზმირსა და ოდესას ბევრი საერთო ნიშნები აქვთ და გამოთქვა სურვილი, რომ ეს ქალაქები დაძმობილდნენ, ხოლო მათმა მეგობრობამ ხელი შეუწყოს თურქეთისა და საბჭოთა კავშირის კეთილმეზობლობის განმტკიცებასა და განვითარებას.

შემდეგ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და მისი თანმხლები პირნი ეწვივნენ საფეიქრო ფაბრიკა „კულას“, რომელიც ქალაქის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო საწარმოა. ამ ფაბრიკაში, რომელიც ბამბისა და შალის ქსოვილებს უშვებს, 2,5 ათასამდე კაცი მუშაობს.

ფაბრიკის გამგეობის ერთ-ერთი წევრის სურეია ჩულაკის თანხლებით საბჭოთა სტუმრებმა შემოიარეს საამქროები, გაეცნენ წარმოების პროცესს და ესაუბრნენ მუშებს. ფაბრიკის დათვალიერების შემდეგ ა. ნ. კოსიგინმა უპასუხა იმ თურქ და უცხოელ ჟურნალისტთა შეკითხვებზე, რომლებიც მას თურქეთში ახლავან. ჟურნალისტებს აინტერესებდათ მისი შთაბეჭდილებანი ფაბრიკის შესახებ.

იზმირი, 24 დეკემბერი. (საქდესი). გუშინ იზმირის ვილაიეთის გუბერნატორმა ნამიკ ქემალ შენთურქმა სასტუმრო „ბიუიუკ ეფესის“ შენობაში სადილი გაუმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს.

მიესალმა რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს, ქემალ შენთურქმა თქვა: „ჩვენს ქალაქს განსაკუთრებული ადგილი უკავია თურქეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში, რომელიც ვითარდება და რომელსაც დიდი მომავალი აქვს, რადგან იზმირი თურქეთის ერთ-ერთი საექსპორტო-საიმპორტო ნავსადგურია. ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უკავია იზმირის საერთაშორისო ბაზრობის მუდმივ მონაწილე ქვეყნებს შორის, ჩვენი აზრით ცხადყოფს, რომ ჩვენი დიდი მეზობელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თურქეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებას“.

გუბერნატორი შეეხო საბჭოთა კავშირ-თურქეთის მოლაპარაკებას, რაც ანკარაში წარმოებდა, და ხაზი გაუსვა: „ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანი მხოლოდ კმაყოფილი იქნება იმ მოლაპარაკების დადებითი შედეგებით, რომლის მიზანი იყო მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარება თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის“.

საპასუხო სიტყვაში ა. ნ. კოსიგინმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის და თქვა: „ჩვენ თურქეთში ჩამოვედით, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თქვენი ახლო მეზობლები ვართ. მეორე, ჩვენ საჭიროდ და მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვიცნობდეთ ჩვენს მეზობლებს. მაგრამ ვიცნობდეთ იმისათვის, რომ ვმეგობრობდეთ და ერთად ვიბრძოდეთ იმ საქმისათვის, რომელიც ახლა მთელ კაცობრიობას აინტერესებს, — ესე იგი მშვიდობის საქმისათვის.

ჩვენ არა გვაქვს ერთმანეთში რაიმე წინააღმდეგობანი, ჩვენ არა გვაქვს რაიმე სადავო საკითხი. მაგრამ ჩვენ თქვენთან გვაქვს საერთო საზღვარი და დიდი სურვილი, რომ მეგობრულად ვიცხოვროთ, ერთმანეთის ნდობით ვსარგებლობდეთ, შევავსოთ ერთმანეთი ეკონომიურ განვითარებაში, ვეხმარებოდეთ ერთმანეთს.

სწორედ ამ საფუძველზე ვაწარმოებდით მოლაპარაკებას ანკარაში თურქეთის მთავრობასთან, შევხვდით თურქეთის პრეზიდენტს, ერთმანეთს გავუზიარეთ აზრი ყველა საკითხზე, რომლებიც ახლა ადამიანებს აღელვებს — ვიეტნამის ომის საკითხზე, ევროპის უშიშროების პრობლემებზე, თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობისა და ჩვენი ეკონომიური განვითარების საკითხებზე. ყველა ეს საკითხი შესაბამისად განვიხილეთ, და ჩემი აზრით, მეტ წილ ამ საკითხებში გამოვნახეთ საერთო ურთიერთგაგება“.

დასასრულ საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ადღეგრძელა ორი მეზობელი ქვეყნის მეგობრობა, ურთიერთნდობა და კავშირურთიერთობის განმტკიცება, აყვავება უსურვა თურქეთის რესპუბლიკას.

სადილმა გულითადობის, მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

## ამხ. მ. ა. პროკოფიევი სსრ კავშირის განათლების მინისტრია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. მიხეილ ალექსის-ძე პროკოფიევი დანიშნა სსრ კავშირის განათლების მინისტრად. (საქდესი).

# კომუნისტები მუდამ წინ არიან!

(დასასრული)

სახელი მახლობელი და ძვირფასია ყველასათვის, ვისაც მებრძოლის, პატრიოტის, ჰუმანისტის გული უცემს. რუსთაველის დღეები თბილისში, შემდეგ კი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში არა მარტო დიდი კულტურული, არამედ აგრეთვე პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა, ვინაიდან იგი მოწმობს, რომ წლითიწლობით მტკიცდება საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნული კულტურების მეგობრობისა და ძმობის ტრადიციები. საქართველოს მშრომელები განსაკუთრებით მადლიერნი არიან ძვირფასი მოსკოველებისა იმ დიდი გულთბილობისა და გულითადობისათვის, რომლითაც მათ რუსთაველის დღეები აღნიშნეს. თვითეულ ჩვენგანს გულის სიღრმემდე ჩასწვდა ის, რომ მოსკოვში დიდი პოეტის ძეგლის გახსნას პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები დაესწრნენ. ეს დღეები დიდხანს დარჩება ქართველი ხალხის მეხსიერებაში.

რესპუბლიკის მიერ ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებებში არ შეიძლება არ ვხედავდეთ კომუნისტების უდიდეს წვლილს. სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით უკანასკნელ ხანს დაჯილდოებულ მუშებს, სპეციალისტებს, მეცნიერებს შორის 7.000-ზე მეტია პარტიის წევრი და კანდიდატი. სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭათ კომუნისტებს: ზეინკალს ვასილ პაპინაშვილს, მეფოლადეს ამირან ფანცულაიას, გამმართველს იოსებ ხაზარაძეს, მანქანათსამშენებლო ქარხნის დირექტორს იაკობ ხვედელიანს, კოლმეურნეებს ივანე ბაიდოშვილს, ქეთო გოგიტიძეს, გრიგოლ საგკაევს, ვინარი სხულუხიას, კლავდია ნაცვალაძეს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს — ნიკო ყოჩიაშვილს, ლეონიდე დობრონეცკის, ნიკო მამაიაშვილს, დიმიტრო მამისაშვილს, პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველ მდივანს ალექსი ბექაურს, მეცნიერებს კონსტანტინე ერისთავს, ქსენია ბახტაძეს, ნიკოლოზ ხომიზურაშვილს და ბევრ სხვას.

დიდი ოქტომბრის 49-ე წლისთავის წინ საქართველოს რესპუბლიკას მეორე ლენინის ორდენი გადაეცა. ეს დღეები სამუდამოდ დაამახსოვრდება და ჩარჩება გულში ქართველ ხალხს, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს, რომლებიც უდიდესი მადლიერების გრძნობას განიცდიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში რესპუბლიკის წარმატებათა მაღალი აღიარებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ჩამოსვლამ საქართველოში, მისმა სიტყვამ რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრებაზე, რომელიც ლენინის ორდენის გადაცემას მიეძღვნა, მისმა საუბრებმა მშრომელებთან — ყოველივე ამან გამოიწვია სურვილი ვიშრომოთ კიდევ უფრო ბეჯითად, კიდევ უფრო მონდომებით, რათა კიდევ უფრო დიდი იყოს ჩვენი რესპუბლიკის წვლილი ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში, სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურნა პარტიამ, მისმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა, საბჭოთა მთავრობამ, საქართველო მეორე ლენინის ორდენით რომ დააჯილდოვეს, მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი მუშათა კლასი, სოფლის მეურნეობის მშრომელები, ჩვენი სახალხო ინტელიგენცია ახალ ხუთწლეულში საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ისევე თავდადებულად, დაუცხრომლად იშრომებენ, როგორც ყოველთვის. კომუნისტებს, ხოლო მათთან ერთად ყველა მშრომელთაც განზრახული აქვთ ყველაფერი გააკეთონ და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მთლიანად გაამართლონ მათზე დამყარებული იმედები, რომ ღირსი იყონ მაღალი ჯილდოსი.

შეიძლება მოვიყვანოთ სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცხოვრებიდან ბევრი მკაფიო ფაქტი, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები წარმატებით რაზმავენ მასებს უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად, რომ კომუნისტები გამოდიან სოციალისტური შეჯიბრების მოთავეებად, დგანან გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ავანგარდში. ისინი პირნათლად ასრულებენ მათთვის მინდობილ საქმეს, მუდამ ახსოვთ ის, რომ პარტია და ხალხი მათგან მაგალითს, ნიმუშს მოელიან.

ამას წინათ რესპუბლიკურ გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა ასეთი შინაარსის პატარა კორესპონდენცია. გვიან ღამით ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში მბრუნავ ღუმელზე გამოინგრა ცეცხლგამძლე ამონაგები. ღუმელი კი ქარხნის გულია, მისი გაჩერება იმას ნიშნავს, რომ ქარხანა მწყობრიდან გამოვიდეს. უფროსმა დისპეტჩერმა კომუნისტმა დიმიტრი ხორავამ მაშინვე განგაში გამოაცხადა. ადამიანებმა არ დაუწყეს ლოდინი ღუმელის სრულ გაცივებას, ვინაიდან ესმოდათ, რომ ყოველი დაკარგული საათი ასობით კილოგრამი ძვირფასი პროდუქციის დაკარგვას ნიშნავდა. ქარხნის დირექტორმა კომუნისტმა გიორგი ძიმისტარიშვილმა თბოსაიზოლაციო ტანსაცმელი ჩაიცვა და პირველი შევიდა გავარვარებულ ღუმელში, სადაც ტემპერატურა 70-80 გრადუსს აღწევდა. მას მიჰყვნენ კომუნისტები პეტრე კაცაძე, გიორგი ასათიანი და ოთარ დვალიშვილი. იმ ღამეს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საამქროს მექანიკოსმა გრიგოლ უგლავამ, მეღუმელეებმა ოთარ ნინიკაშვილმა, პავლე კურეპინმა და შოთა ლანჩავამ, დამხმარე მუშებმა ალბერტ ელუაშვილმა და ნიკოლოზ ქვანიამ, ოსტატმა-მეღუმელემ ივანე ქობულოვმა, მეაპარატეებმა ალექსანდრე ფრანგიშვილმა, დადაშ ჩარკვიანმა და გიორგი ამბროლაძემ, ზეინკლებმა ივანე გოგოლაშვილმა, პიმენ ბარაბაძემ, ვალიკო არსენიძემ და გურამ დოხნაძემ. თავიანთი გმირული მოქმედებით მათ საწარმოს თავიდან ააცილეს სერიოზული ავარია. ღუმელი აღდგენილ იქნა სარეკორდო მოკლე ვადაში — 36 საათში, იმაზე 60 საათით ადრე, ვიდრე ჩვეულებრივად სრულდება ასეთი სამუშაო. მაგრამ, როგორც სწორად იყო აღნიშნული გაზეთში, აქ მთავარია საბჭოთა ადამიანების ხასიათის ახალ მხარეთა გამოვლინება, რომლებისთვისაც ყველაზე მაღლა დგას მშობლიური ქარხნის ღირსება, სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვა.

აი კიდევ ერთი მაგალითი. მიმდინარე წლის ზაფხულში მომიხდა ყოფნა გორის რაიონის სოფელ ფლავში, კომუნისტ ვახტანგ გოგშელიძის ბრიგადაში, რომელსაც ამას წინათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. პირდაპირ სასიამოვნო საცქერი იყო, როგორ მუშაობენ ამ ბრიგადაში, რა გონივრულად ორგანიზებულია შრომა. აქ ბევრნი არიან უხვი მოსავლის ნამდვილი ოსტატები, და კოლმეურნეობა სამართლიანად ამაყობს ასეთი მუშაკებით. სოფლად ყველამ იცის, რომ გოგშელიძის ბრიგადა შეხმატკბილებული, მჭიდროდ შეკავშირებული კოლექტივია, სადაც ადამიანები ერთი ფიქრით, ერთი საზრუნავით ცხოვრობენ, მათ ერთი მიზანი, ერთი ამოცანა აქვთ. ყველაფერში მაგალითს იძლევა თვითონ ბრიგადირი-კომუნისტი. იგი არცთუ დიდი ხნისაა. დაბადებულია 1924 წელს, მაგრამ ამ კომუნისტის აზრსა და ხმას ჭაღარამოსილი მოხუცებიც უგდებენ ყურს. მისი ავტორიტეტი იმას ეყრდნობა, რომ მას უნარი შესწევს დარაზმოს კოლექტივი. იგი ყოველთვის მზად არის დაეხმაროს ამხანაგებს, მისცეს მათ საქმიანი რჩევა, რათა მუშაობა უკეთ წარიმართოს. როგორც ნამდვილ კომუნისტს, მას ახასიათებს ისეთი თვისებები, როგორიც არის ურთიერთობაში უბრალოება, თავმდაბლობა. და კომუნისტებმა მაღალი ნდობა გამოუცხადეს ვახტანგ გოგშელიძეს, აირჩიეს კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივნად.

როცა ლაპარაკი ჩამოვარდება კომუნისტთა ავანგარდულ როლზე, პირველ რიგში მხედველობაში აქვთ კომუნისტების ავანგარდული როლი წარმოებაში, ამასთან „წარმოებად" ჩვეულებრივად გულისხმობენ სამრეწველო საწარმოს, მშენებლობას, შახტს, კოლმეურნეობას ან საბჭოთა მეურნეობას. ვფიქრობ, რომ „წარმოების" ცნებაში ამ შემთხვევაში უფრო ფართო აზრი უნდა შევგვქონდეს, იმიტომ რომ თვითეული კომუნისტი ავანგარდულ როლს უნდა ასრულებდეს იქ, სადაც მუშაობს. ერთიხათვის ეს ქარხნის საამქროა, მეორისათვის — საკოლმეურნეო მინდორი, მესამისათვის — სამეცნიერო ლაბორატორია, მეოთხისათვის — სტუდენტთა აუდიტორია, მეხუთისათვის — მაღაზიის დახლი. ჩვენში კიდევ არიან ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ავანგარდულ როლს რიგითი კომუნისტები უნდა ახორციელებდნენ, ხოლო რაც შეეხება ხელმძღვანელ მუშაკებს, ისინი იმისათვის არიან ხელმძღვანელი მუშაკები, რომ კონტროლს უნდა უწევდნენ, სხვები ავანგარდში არიან თუ არაო. მინდა მოგაგონოთ, იმისადმი მისწრაფება, რომ მაგალითი იყო, — ეს თანდაყოლილი თვისება კი არ არის, იგი პრაქტიკულ მუშაობაში აღიზრდება და აღზრდის საუკეთესო საშუალებაა ხელმძღვანელის პირადი მაგალითი. ხოლო ხელმძღვანელი, რომელიც სხვებს მოუწოდებს წინსვლისაკენ, თვითონ კი გულხელდაკრეფილი ზის, ჰგავს გზის მაჩვენებელს, რომელიც მოძრაობის მიმართულებას უჩვენებს, მაგრამ უნარი არ შესწევს ადგილიდან დაიძრას.

ყველა კომუნისტი მიუხედავად თანამდებობისა, რომელიც მას უჭირავს, ავანგარდში უნდა იდგეს, იმიტომ რომ პარტიაში ყველა თანასწორია, ყველასათვის თანაბრად სავალდებულოა პარტიული დისციპლინა, ყველა თანაბრად უნდა ასრულებდეს იმ მოვალეობებს, რომლებსაც კომუნისტებს ჩვენი პარტიული წესდება აკისრებს. უფრო მეტიც, სწორედ ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც აღჭურვილი არიან პარტიის მაღალი ნდობით, უნდა უჩვენებდნენ რიგითს კომუნისტებს მინდობილი საქმისადმი კეთილსინდისიერი, შეგნებული დამოკიდებულების მაგალითს.

კომუნისტს ხელმძღვანელ სამუშაოზე რომ აწინაურებს, პარტია დიდ ნდობას უცხადებს მას. ხელმძღვანელის მოვალეობაა გაამართლოს ეს ნდობა თავისი საქმეებითა და ქცევით, ყველაფერს აკეთებდეს იმისათვის, რომ წარმატებით გაართვას თავი მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, საქმეს ახმარდეს მთელ თავის ძალებს, ცოდნასა და გამოცდილებას. ყველა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს ჩვენი ხელმძღვანელების — პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ხელმძღვანელების უდიდესი უმრავლესობა. მათი შრომითა და ენერგიით, უნარიანი ხელმძღვანელობით ბევრად განისაზღვრება ის წარმატებანი, რომლებსაც მიაღწია ჩვენმა რესპუბლიკამ, მისმა სახალხო მეურნეობამ და კულტურამ. ეს მუშაკები დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობენ ფართო მასებში.

მაგრამ არიან ჩვენში ისეთი ამხანაგებიც, რომლებიც შეცდომით ფიქრობენ, რომ ავტორიტეტი განისაზღვრება მათი თანამდებობით. უნდა ითქვას, რომ ეს დიდი შეცდომაა. ხელმძღვანელის ავტორიტეტი არასოდეს არ მოდის თავისთავად. მას პრაქტიკული მუშაობით, კონკრეტული საქმეებით მოიპოვებენ.

ასეთია საქმის ვითარება კომუნისტთა ავანგარდული როლის მხრივ წარმოებაში ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მაგრამ ავანგარდულ როლზე რომ ვლაპარაკობთ, არ უნდა ვზღუდავდეთ მას კომუნისტის შრომითი საქმიანობის ჩარჩოებით. ეს როლი უნდა ვლინდებოდეს ყოველ ნაბიჯზე, ყოველ მის ქცევაში. კომუნისტი ყველაფერში მაგალითს უნდა წარმოადგენდეს დანარჩენთათვის.

მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ ფაქტებს, როცა ზოგიერთ კომუნისტს პიროვნების გაორების მსგავსი რაღაც გამოუდის. სამუშაოზე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას იგი ერთია, ყოველდღიურ ყოფაში კი სულ სხვაა. ეს არ უნდა იყოს. კომუნისტი ყოველთვის და ყველგან მტკიცე, ჩვენი პარტიის იდეალების ერთგული უნდა იყოს.

ახლა, როცა პარტიამ ამოცანად დაისახა აღზრდა მომავლის ადამიანებისა, რომლებშიც შეხამებული უნდა იყოს სულიერი სიმდიდრე, მორალური სისპეტაკე და ფიზიკური სრულყოფილობა, კომუნისტი მოვალეა მთელი თავისი ქცევით წარმოებაში, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში აჩვენებდეს კომუნისტური ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის მაღალ მაგალითებს, იცავდეს კომუნისტური მორალის პრინციპებსა და ნორმებს. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი კომუნისტებიც, რომლებიც გმობენ სხვებს, როცა ისინი სჩადიან არასაკადრის, ზნეობრივი ნორმებისათვის შეუფერებელ ქცევას, თვითონ კი ობივატელების დონემდე ეშვებიან: მეზობლებს ეჩხუბებიან, ჭორებს ავრცელებენ, დავაქრობას ეწევიან.

ანდა ავიღოთ მეორე საკითხი — მშობლების, და პირველ რიგში კომუნისტების პასუხისმგებლობა თავიანთი შვილების აღზრდისათვის. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი კომუნისტის შვილები უღირსად იქცევიან: ცუდად სწავლობენ, უქნარობენ, საზოგადოებრივ წესრიგს არღვევენ. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ მშობლები ყურადღებას არ აქცევენ მათს აღზრდას, არ ზრუნავენ იმისათვის, რომ ისინი გაიზარდონ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად, და მართალი არიან ისინი, ვინც აყენებს კითხვას: როგორ შეუძლია კომუნისტს სხვები აღზარდოს, თუ თავისი შვილები ჯეროვნად ვერ აღუზრდიაო.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამ თვალსაზრისს და მიგვაჩნია, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები უშუალოდ უნდა შეუდგნენ მუშაობას ამ საკითხზე, აამაღლონ კომუნისტების პასუხისმგებლობა თავიანთი შვილების აღზრდისათვის, მათი მუშაობისათვის, სწავლისათვის, მათი ქცევისათვის, იმიტომ, რომ კომუნისტის ავანგარდული როლი შვილების აღზრდაშიც უნდა ვლინდებოდეს: არიან თუ არა ისინი ქცევის ნიმუში ინსტიტუტში, სკოლაში, შინ, ქუჩაში, საზოგადოებრივ ადგილებში. კომუნისტთა შვილები უნდა ამაყობდნენ იმით, რომ პარტიის წევრის ოჯახში ცხოვრობენ, და მთელი თავიანთი ცხოვრებით, თავიანთი შრომით ცდილობდნენ ღირსი იყონ თავიანთი მამებისა და დედებისა.

პარტია გვასწავლის არასოდეს არ ვჯერდებოდეთ მიღწეულს, არასოდეს არ ვიმშვიდებდეთ თავს წარმატებებით, არამედ ყოველთვის წარვმართავდეთ ჩვენს ღონისძიებებს ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი ამოცანების გადასაჭრელად. და ჩვენ კარგად გვესმის, რომ ჯერ კიდევ ცოტა როდი გვაქვს გადაუწყვეტელი ამოცანები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურული მშენებლობის დარგში.

ხოლო რას ნიშნავს კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლება? ეს ნიშნავს უწინარეს ყოვლისა წარვმართოთ მათი ღონისძიებანი ყველა და ყოველნაირი სიძნელის გადასალახავად, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში ახალ წარმატებათა მისაღწევად, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად.

პირველ რიგში საჭიროა წამოვწიოთ ჩამორჩენილი საწარმოები. საკმაოდ ბევრი ნაკლი გვაქვს კაპიტალური მშენებლობის დარგში. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის მატერიალური რესურსებისა და ტექნიკის დაქსაქსვა მრავალ მშენებლობაზე. სერიოზული ყურადღება უნდა მივაპყროთ საბინაო მშენებლობის გაუმჯობესებას. ჩვენი პარტიული და სამეურნეო ორგანოები მეტ ზრუნვას უნდა იჩენდნენ ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტურობის ამაღლებისათვის, წარმოების ყოველმხრივი სპეციალიზაციისათვის. დიდი და სერიოზული ამოცანები უნდა გადავწყვიტოთ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგშიც, უნდა ვცდილობდეთ მივაღწიოთ იმას, რომ ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა რენტაბელური გახდეს, მეტ ყურადღებას ვუთმობდეთ ეკონომიკის საკითხებს, კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ამაღლებას.

მაგრამ იმისათვის, რომ წარმატებით გადავწყვიტოთ ეს სამეურნეო ამოცანები, საჭიროა ფართოდ გავაჩაღოთ პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, მუდამ საბრძოლო მზადყოფნაში გვქონდეს მშრომელთა მასებზე ჩვენი პარტიული ზემოქმედების მთელი არსენალი.

სკკპ XXIII ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის როლი, მისი ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობის მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება. ახორციელებენ რა პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებს, ჩვენმა პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს ორგანიზატორული მუშაობა, ისინი განუწყვეტლივ სრულყოფენ თავიანთი საქმიანობის სტილსა და მეთოდებს, უფრო ღრმად სწვდებიან შინაპარტიული ცხოვრების ძირეულ საკითხებს. ისინი ახლა უფრო კონკრეტულად, საგნობრივად მუშაობენ წარმოების, ეკონომიკის, უშუალოდ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში ორგანიზატორული მუშაობის საკითხებზე.

სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ პარტიული კომიტეტები და პირველადი ორგანიზაციები უფრო ხშირად სწავლობენ და განიხილავენ შინაპარტიული მუშაობის ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის კადრების შერჩევა, განაწილება და აღზრდა, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაცია და მისდამი კონტროლი, ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდა, პრინციპული, საქმიანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლა, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება და სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში მათი როლის ამაღლება. ამას წინათ გამართულმა საანგარიშო-საარჩევნო პარტიულმა კრებებმა ცხადყო კომუნისტების მაღალი პოლიტიკური სიმწიფე, მათი გაზრდილი მომთხოვნელობა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობისადმი.

ჩვენ კვლავაც უნდა ვაპყრობდეთ პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას, ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს, სრულვყოფდეთ პარტიული ხელმძღვანელობის ფორმებსა და მეთოდებს, გადაჭრით უარვყოფდეთ ფორმალიზმს პარტიულ მუშაობაში. საჭიროა ყველა ღონისძიებით განვამტკიცებდეთ შინაპარტიულ დემოკრატიას, პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას, ვიბრძოდეთ შრომის სოციალისტური დისციპლინის უმკაცრესად დაცვისათვის, ყველგან ვიცავდეთ პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებსა და ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპებს. პარტიული ხელმძღვანელნი მოვალენი არიან ახსოვდეთ, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების სიმტკიცეზე, მათს ბრძოლისუნარიანობაზე, პარტიული ჯგუფების — პარტიის ამ ძირეული რგოლების — აქტიურობაზე ბევრად არის დამოკიდებული წარმატება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამა თუ იმ უბანზე. ამიტომ საჭიროა უფრო ხშირად მიდიოდნენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, უწევდნენ მათ კონკრეტულ, პრაქტიკულ დახმარებას, უფრო ახლოს იყონ მასებთან და ყურადღებით ისმენდნენ მასების აზრს.

ავამაღლოთ კომუნისტთა ავანგარდული როლი — ეს უწინარეს ყოვლისა ნიშნავს ბეჯითად ვცდილობდეთ მივაღწიოთ ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის შემდგომ სრულყოფას, შინაპარტიული დემოკრატიის კიდევ უფრო ფართოდ გაშლას, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას. ამოცანა ის არის, რომ ყველა ღონისძიებით ვამაღლებდეთ კომუნისტების როლსა და პასუხისმგებლობას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან აქტიურად და დროულად უჭერდნენ მხარს კომუნისტების ინიციატივას, სასარგებლო თაოსნობას, ქმნიდნენ საჭირო პირობებს იმისათვის, რომ პარტიის წევრები და წევრობის კანდიდატები სრულად იყენებდნენ პარტიის წესდებით მათთვის მინიჭებულ უფლებებს, და ამავე დროს მტკიცედ აღწევდნენ თვითეული მათგანის მიერ წესდებით გათვალისწინებულ მოვალეობათა უთუოდ შესრულებას. საჭიროა მხარს ვუჭერდეთ და ვავითარებდეთ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, წარვმართავდეთ მათ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისაკენ, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისაკენ, შრომის სოციალისტური დისციპლინის უმკაცრესად დაცვისაკენ.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციების მთელი ორგანიზატორული მუშაობა უნდა წარვმართოთ იმისათვის, რომ იბრძოლონ სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, სოციალისტური მეურნეობის გაძღოლის იმ პრინციპების განხორციელებისათვის, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის, სექტემბრისა და მაისის პლენუმებმა შეიმუშავეს, დაგეგმვისა და წარმოების ეკონომიური სტიმულირების ახალი მეთოდების განხორციელებისათვის.

ავამაღლოთ კომუნისტთა ავანგარდული როლი — ეს მეორე მხრივ ნიშნავს გავაძლიეროთ მუშაობა კომუნისტთა იდეური რწმენის ამაღლებისათვის. იდეურობა ადამიანის პოლიტიკური სიმწიფის მაჩვენებელია. სწორედ ამიტომ კომუნისტი ბეჯითად უნდა ეუფლებოდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, იმაღლებდეს იდეურ დონეს, ხელს უწყობდეს კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებასა და აღზრდას.

ავამაღლოთ კომუნისტთა ავანგარდული როლი — ეს მესამე მხრივ ნიშნავს განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ კადრების შერჩევის, დაწინაურებისა და აღზრდისათვის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. არ შეიძლება არ ვითვალისწინებდეთ იმას, რომ ამ საქმეში დაშვებული შეცდომები დიდ ზიანს აყენებს მთელ ჩვენს მუშაობას. ხელმძღვანელ პოსტებზე უნდა ვაწინაურებდეთ მხოლოდ ისეთ მუშაკებს, რომლებიც კარგად იცნობენ თავიანთ საქმეს, მუდამ დაკავშირებული არიან მასებთან და უნარი შესწევთ დარაზმონ ისინი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების შესასრულებლად.

კადრებთან მუშაობას მჭიდროდ უნდა ვაკავშირებდეთ კონტროლის სწორად დაყენებასთან, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებასთან. მხოლოდ მაღალი მომთხოვნელობის, პრინციპულობისა და პასუხისმგებლობის ვითარებაში იზრდებიან და იწრთობიან კადრები. საჭიროა გადაჭრით მოვუღოთ ბოლო ფორმალიზმს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში, ჯეროვნად დავაყენოთ ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა და საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაცია და შემოწმება.

ავამაღლოთ კომუნისტთა ავანგარდული როლი — ეს, ბოლოს, ნიშნავს, და ეს ყველაზე მთავარია, ბეჯითად და თანმიმდევრულად განვამტკიცებდეთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობას, მუდამ გვახსოვდეს, რომ მათში ირიცხება, მათი კონტროლით ყოველდღიურად მუშაობს ყველა კომუნისტი. საჭიროა განუწყვეტლივ ვაუმჯობესებდეთ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობას, რათა თვითეული მათგანი მასების მებრძოლი ორგანიზატორი და წინამძღოლი იყოს. პარტიული კომიტეტები მოვალენი არიან ეყრდნობოდნენ მათ მთელ თავიანთ მუშაობაში, ავითარებდნენ მათს ინიციატივასა და თვითმოქმედებას, ცდილობდნენ მიაღწიონ უკლებლივ ყველა კომუნისტის პასუხისმგებლობის ამაღლებასა და მათი ავანგარდული როლის უზრუნველყოფას პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მუდამ უნდა გვახსოვდეს და ვახორციელებდეთ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ანდერძს: „ჩვენ უნდა ვცდილობდეთ სულ უფრო მაღლა, მაღლა და მაღლა ავწიოთ პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა..."

დღევანდელი დღის გაზრდილი ამოცანები გვავალებენ ღრმად შევითვისოთ და სრულად გამოვიყენოთ მუშაობის ის ნამდვილად რეალისტური ლენინური სტილი და მეთოდები, რომლებიც პარტიის მთელ ცხოვრებაში დამკვიდრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შემდეგ და რომლებიც ბრწყინვალედ იქნა დემონსტრირებული პარტიის XXIII ყრილობაზე. საქმიანობის, პრინციპულობის ატმოსფეროთი, როგორც წარმატებათა, ისე ნაკლოვანებათა ფხიზლად შეფასებისადმი მისწრაფებით; ეკონომიკისა და კულტურის რთული საკითხების გადაჭრისადმი დაკვირვებული და შემოქმედებითი მიდგომით უნდა იყოს გამსჭვალული ყველა პარტიული კომიტეტისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის, ყოველი მუშაკის საქმიანობა.

• • •

დასასრულ რამდენიმე სიტყვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იმ პლენუმის ჩატარების ორგანიზაციულ მხარეზე, რომელიც მიეძღვნა კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლების საკითხებს.

საქმე ის არის, რომ ამჯერად ჩვენი პლენუმი კამათით დაიწყო.

მოხსენება? მოხსენება, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მისი პროექტი, წინასწარ დაეგზავნა ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრს, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებს და სარევიზიო კომისიის წევრებს. ამრიგად, ამხანაგებს შესაძლებლობა ჰქონდათ წინასწარ გასცნობოდნენ მასალას, საფუძვლიანად მოეფიქრებინათ ის საკითხები, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლიდნენ შეხებოდნენ თავიანთ გამოსვლებში, და ამასთან ერთად ცენტრალურ კომიტეტში გამოეგზავნათ თავიანთი წინადადებანი და შენიშვნები მოხსენების გამო. ეს შენიშვნები და წინადადებანი გამოეგზავნა ცენტრალურ კომიტეტს, და ბიურომ განიხილა ისინი. ბევრი მათგანი მხედველობაში იქნა მიღებული მოხსენების საბოლოო რედაქციის დროს, რომელიც კვლავ დაეგზავნა ცენტრალური კომიტეტის წევრებს.

მომხსენებელი პლენუმზე გამოვიდა მხოლოდ საბოლოო სიტყვით, რომელშიც შეჯამებული იყო პლენუმის შედეგები, ანალიზი ჰქონდა გაკეთებული ადგილებიდან შემოსულ შენიშვნებს და განზოგადებული იყო კამათის მონაწილეთა გამოსვლები, რომლებიც შეიცავდა მნიშვნელოვან წინადადებებს მთელი პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლების შესახებ.

ყველა გამოსვლას წითელ ზოლად გასდევდა აზრი: კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეძლებს შეასრულოს მასების წინამძღოლის როლი, როცა ყველგან და ყველაფერში აჩვენებს იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა შრომა, სწავლა, კომუნისტური მორალის ნორმებისა და პრინციპების დაცვა, როცა მისი სიტყვა და საქმე ერთი იქნება.

ჩვენ მუდამ გვახსოვს ის, რომ, როცა ლენინის ორდენს იღებდნენ, საქართველოს მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, სახალხო ინტელიგენციამ ჩვენმა სახელოვანმა ახალგაზრდობამ პირობა მისცეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომ საქართველოს მშრომელნი მთელ თავიანთ ძალღონეს მოახმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებას. ლენინის ორდენს რომ იღებდა, საქართველოს კომპარტიამ — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთმა უძველესმა და მებრძოლმა რაზმმა — განაცხადა მზადყოფნა მუდამ იყოს სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის საიმედო დასაყრდენი მის ბრძოლაში პარტიული რიგების ერთიანობისა და მონოლითურობისათვის, პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებისათვის. საქართველოს კომუნისტებმა საზეიმო ფიცი დადეს მუდამ მაღლა ეჭიროთ უკვდავი ლენინის დროშა, დიდი ოქტომბრის დიდების შარავანდედით მოსილი, ბრძოლისა და გამარჯვებათა დროშა. ამ ფიცს, ამ პირობას საქართველოს კომუნისტები და ყველა მშრომელნი პრაქტიკულ, რეალურ საქმეებად გადააქცევენ.

ახლა საფუძველი ეყრება ეკონომიკის ახალ მძლავრ აღმავლობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო ორმოცდამეათე წელს. კომუნისტებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ დასახული გეგმების შესრულებისათვის. მათი ღონისძიებების მიზანი უნდა იყოს შეხვედრილ სიძნელეთა დაძლევა, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში ახალ სიმაღლეთა დაპყრობა, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

როგორც უკვე აღვნიშნავდით, ახალ პირობებში სამრეწველო საწარმოთა მუშაობამ დადებითი შედეგები მოგვცა: შესამჩნევად გაუმჯობესდა ტექნიკურ-ეკონომიური და ფინანსური მაჩვენებლები, გაიზარდა რენტაბელობა. ამ მიმართულებით მუშაობა უნდა განვაგრძოთ, ვინაიდან მომავალ წელს მეურნეობის გაძღოლის ახალ სისტემაზე მრეწველობის მთელი დარგები გადავლენ. ამიტომ საჭიროა უკვე დღეს ვქმნიდეთ ამისათვის მტკიცე ბაზას. ბევრი სერიოზული პრობლემის გადაჭრა მოგველის სოფლის მეურნეობაში. მოკლედ რომ ვთქვათ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის (1965 წ.) პლენუმების გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელება იყო და კვლავ არის ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მთავარი ამოცანა. ჩვენ უნდა ვესწრაფოდეთ იმას, რომ თვითეული კომუნისტი ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდეს და ცდილობდეს მიაღწიოს დადებით შედეგებს სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობების, მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებათა მუშაობაში.

ჩვენი ურყევი რწმენა, რომ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალ წარმატებებს მივაღწევთ, იმას ეყრდნობა, რომ საბჭოთა ხალხს სათავეში უდგას ნაცადი მესაჭე — კომუნისტური პარტია და მისი მებრძოლი კოლექტიური შტაბი — ცენტრალური კომიტეტი, რომ ჩვენ, კომუნისტებს, ყველას გვაქვს ნათელი მიზანი, რომელიც განსაზღვრულია პარტიის გენერალური ხაზით, და ვიცნობთ ამ დიადი და კეთილშობილური მიზნის მიღწევის საშუალებებს.

ყველა საფუძველი გვაქვს დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ საქართველოს 264-ათასიანი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც უნარიანად უდგას სათავეში რესპუბლიკის მშრომელთა შრომითს და პოლიტიკურ აღმავლობას და განუწყვეტლივ ამაღლებს კომუნისტთა ავანგარდულ როლს, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე დიდი და პასუხსაგები ამოცანები.

ПАРТИЙНАЯ ЖИЗНЬ
№ 24, 1966 წელი.



რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხედი.



თბილისის მეტროს სადგური — „რუსთაველი".



## ანა ანტონოვსკაია, ბორის ჩორნი

ლეჩხუმის წინააღმდეგობა ხალხური დრამის ერთ-ერთი აქტი იყო. მაგრამ მოსახლეობის წინააღმდეგ გააფთრებითა და ვნებათაღელვის ძალით იგი, უნდა ითქვას, „ფუენტე ოვეხუნას („ცხვრის წყაროს“) აღემატებოდა.

ამ დრამის ერთ-ერთი გმირი გახდა მიხეილ ობოლაძე, სწორედ გიორგის ის სრული კავალერი, 51-ე საარტილერიო დივიზიონის ვახმისტრი, ვინც პიტერში ლენინს მიუტანა ოქროს ორდენების ტვირთი.

ლენინთან შეხვედრამ ნათლად განსაზღვრა ობოლაძის გზა. იგი 1918 წლის იანვარში შედის ბოლშევიკთა პარტიაში და ქუთაისის კომიტეტის საგანგებო დავალებებს ასრულებს. საშა გეგეჭკორის დახმარებით იგი ცხენოსანი მილიციის უკვე ათისთავია, იყენებს ნდობის ღირს ფორმას და ლეჩხუმში შეაქვს იარაღი და საბრძოლო ვაზნები.

შეიარაღებულ ჯარისკაცებს სასტიკად სდევნიან. ყველგან საგუშაგო პოსტებია.

რაჭა-ლეჩხუმის, ბაღდათის, ხონის მიმართულებით ჩნდება შავ-თეთრი შლაგბაუმები. მთებში, იქ, სადაც უღელტეხილებს ნისლი ფარავს, ბილიკები წყდება.

გუბერნატორი ლეჩხუმის ქედისაკენ (პუნქტი 3584) სადამსჯელო ექსპედიციას გზავნის. ობოლაძე დროზე აფრთხილებს აჯანყებულთა და მათთვის იარაღი მიაქვს რამდენამე არაჩვეულებრივი ტარით — კუბოებით.

ამიერიდან იგი ლეჩხუმის მაზრის სოფლების: ლაილაშის, სურმუშის, თაბორის, გუს, ჭყალის სამობილიზაციო განყოფილების კომისარია. ყოველი მისი გასროლა დამსჯელთა წინააღმდეგ თითქოს ადასტურებს: „გამოვა, ამხანაგო ლენინ! უსათუოდ გამოვა!“.

ანტიხალხურმა მთავრობამ, რაკი იმედს დასავლეთის იმპერიალისტებზე ამყარებდა, 1920 წელი ავანგარდის წინააღმდეგ ახალი რეპრესიებით აღნიშნა.

18 ივნისს თბილისში განსაკუთრებულმა რაზმმა ალყა შემოარტყა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ნეო-ჟანდარმერიის აგენტებმა გაჩხრიკეს და დააპატიმრეს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი და თანამშრომლები. არასასურველ პირთა ფიზიკური მოსპობა სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის იარაღი ხდებოდა.

ლენინი იმ ყდაში, „ცოცხალი ცხოვრებით რომ სულდგმულობდა“, ათავსებდა ორპირობისა და შეუწყნარებლობის სულ ახალ-ახალ ფაქტებს.

ხან კიროვი იუწყებოდა:

„...კომუნისტებს გარდა აპატიმრებენ... უსეთის ქვეშევრდომთ, რომლებიც საელჩოში მოდიან.

დაპატიმრებულია ამხანაგი, რომელსაც შეკვეთეს საბჭოთა დროშის დამზადება“.

ხან სამხრეთ ოსეთი ემუდარებოდა ლენინს, მესამე ინტერნაციონალს, „პრავდას“:

„...ყველა დაბა და სოფელი, სადაც გამოცხადებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება, გადამწვარია. სამხრეთი ოსეთი მოითხოვს შველას და კომისიის დანიშვნას, რათა დადასტურებულ იქნას „საქართველოს მთავრობის საშინელი მოქმედება“.

იგი კაბინეტში სცემდა ბოლთას, დიახ, აკაცრავად პასუხია, ეროვნული მშვიდობის საუცხოო ნიმუშია! და ეს ვაჟბატონები კიდევ ცდილობენ გვისაყვედურონ! ისინი კი არა, ჩვენ ვჩაგრავთ პატარა სახელმწიფოებს.

მისი ყურადღება პალმამ მიიქცია, მზრუნველობით დააკვირდა ფოთლებს: დღესვე უნდა დავუძახო მებაღეს. და კვლავ დაიწყო სიარული. თანაც უხილავ მტრებს სპობდა...

„ჩვენ მოვითხოვთ თვითგამორკვევის უფლებას, ე. ი. დამოუკიდებლობას, ე. ი. დაჩაგრული ერების გამოყოფის თავისუფლებას არა იმიტომ, რომ ვოცნებობთ სამეურნეო დაქუცმაცებაზე ან მცირე სახელმწიფოთა იდეალზე, ;რამედ პირიქით, იმიტომ, რომ ჩვენ გვსურს დიდი სახელმწიფოები და ერების დაახლოება, შეერთებაც კი, მაგრამ ნამდვილ დემოკრატიულ, ნამდვილ ინტერნაციონალურ ბაზაზე, რაც წარმოუდგენელია, თუ გამოყოფის თავისუფლება არ იქნა“.

თუმცა, ჟორდანია და კომპანიაც წყვეტენ ეროვნულ საკითხს, მაგრამ მეტად, მეტად შავინისტურად: ისინი ხვრეტენ აფხაზებს, აჭარლებს, ოსებს; და ამასთან ქმნიან ისეთ მარგალიტებს, როგორიც არის „სახალხო გვარდიის“ უფროსის ვ. ჯუღელის „დღიური“.

„1920 წლის 18 ივნისი.

...გარშემო ოსების სოფლები იწვის. საშინელებაა, მაგრამ სხვა გზა არ არის... დამშვიდებული სულითა და წმინდა სინდისით ვუცქერი კვამლსა და ხანძრალს...

1920 წლის 14 ივნისი.

...სოფლები აქ ძალიან მაღლა მდებარეობს და, ცხადია, ოსები ფიქრობდნენ, ვერ მოგვწვდებიანო! მაგრამ ახლა ყველგან კვამლია... რაღაც საშინელი ზღაპრული სილამაზეა.. იწვიან და იწვიან. ავბედითი ცეცხლი. ღამის ამ კაშკაშა ცეცხლს რომ უცქეროდა, ერთმა ძველმა ამხანაგმა მწუხარედ მითხრა: „ახლა მესმის ნერონისა და რომის დიდი ხანძრის აზრი...“

მაგრამ, ნერონის გარდა, როგორც ცნობილია, ისტორიაში იყო სპარტაკიც. მის მაგალითს ჰბაძავდნენ ისინი, ვინც უარჰყოფდა იმ ახალგამომცხვარ კეისართა უზურპატორულ პრეტენზიებს, რევოლუციურ წითელ ტოგის რომ ისხამდნენ.

ჯერ კიდევ 1918 წლის მაისში, როცა საშა გეგეჭკორმა ლეჩხუმიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადაიყვანა მეგრელი წითელი პარტიზანები, ობოლაძემ შეასრულა აჯანყების კომიტეტის ბრძანება და ეს რაზმი ახალი ძალებით შეავსო. მამისონის უღელტეხილი უკან დარჩა, წინ ამოწვდილ ხმლებივით ლაპლაპებდნენ თერგი, ყუბანი და დონი.

„თეთრგვარდიელთა ბანდების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის, — იგონებს მიხეილ ობოლაძე, — მე № 112 ბრძანებით წითელი დროშის ორდენით დამაჯილდოვეს, მაგრამ რადგან ორდენი შტაბში არ აღმოჩნდა, მის ნაცვლად მომცეს პარაბელუმი № 35628.

თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მძიმედ დავიჭერი და საშა გეგეჭკორის ბრძანებით ლეჩხუმში დავბრუნდი“...

იქ კი — ახალი ბრძოლები...

აჯანყების დამარცხების შემდეგ კატორღული საპყრობილე ქუთაისში. შემთხვევითი განთავისუფლება. კვლავ დაპატიმრების ორდერი. გაქცევა. იატაკქვეშეთში მუშაობა. დაუსწრებელი სასიკვდილო განაჩენი...

ასე იბრძოდა ყველა ქართველი, ვისაც თავი ლენინის ჯარისკაცად მიაჩნდა.

„საშინელმა ზღაპრულმა სილამაზემ“, როგორც ჩანს, უშიშარნი ვერ დააშინა.

დიახ, საქართველოში დაიწყო სხვა ხანძარი, რომლის აზრიც ნოე ჟორდანიამ ვერას გზით ვერ გაიგო. ხან აქ, ხან იქ იფეთქებდა აჯანყება. გაგრის რაიონის შემდეგ თიანეთის მაზრა. თიანეთის შემდეგ „სიმინდის რესპუბლიკა“, როგორც სიტყვამოსწრებულად შეარქვა ხალხმა მენშევიკთა სახელმწიფოს, შეირყა. აჯანყებულნი განუწყვეტლივ მიმართავდნენ წითელ არმიას. კავკასიის ფრონტის რევოლუციური საბჭოს წევრმა ორჯონიკიძემ კვლავ მიიღო ლენინის მითითება დაუყოვნებლივ მიეწოდებინა ზუსტი ცნობები აჯანყებულთა შესახებ. ქარიშხალი ძლიერდებოდა, იგი მზად იყო აეგავა ყველაფერი, რაც ენათესავებოდა ქონდრის კაცებს, თავი რომ გულივერებად წარმოედგინათ. აჯანყება სტიქიურად ფართოვდებოდა, აღმოსავლეთი საქართველო უკვე მის რკალში იყო მოქცეული.

ვლადიმერ ილიას ძემ მოუთმენლად დახედა საათს.

ნუთუ სწორად არ მუშაობს? მაგრამ საათი კარგად მუშაობდა. ზუსტად 11 საათი იყო.

შემოვიდა ფოტიევა და თბილისიდან მიღებული წერილები შემოიტანა. ერთი მათგანი კიროვისაგან იყო. სადაფისტარიანი ჯაყვით გახსნა ლურჯი პაკეტი, მაგიდაზე გაშალა წვრილადნაწერი ფურცელი და წითელი ფანქარი აიღო:

„საქართველოს მთავრობა წინანდებულად ფიქრშია, არ იცის სით გადახაროს სრულიად გარკვევით — ჩვენსკენ თუ ანტანტისაკენ. ამასობაში კი საქართველოს სამეურნეო ცხოვრება დღითიდღე სულ უფრო და გარკვეულად იშლება და შორს აღარ არის ის დრო, როცა ნოე ჟორდანია საქართველოს ეგზარხოსთან ერთად იძულებული იქნება დაიწყოს გალობა „მდინარეთა ბაბილონისათა ზედა“.

— „მდინარეთა ბაბილონისათა ზედა“, ა! — ლენინმა გულიანად გაიცინა. — რა გაეწყობა, თუ გნებავთ, ამხანაგო კიროვ, ბაბილონი ამ შემთხვევაში სრულიად აუცილებელია“.

თბილისის ახალი გაზეთები გარშემოიწყო, კითხვა დაიწყო და დროდადრო ტექსტს გახაზავდა ან შენიშვნას გააკეთებდა არეებზე.

ასე, საინტერესოა, 1921 წლის 18 იანვარი. რუსეთის დეპეშათა სააგენტო: ხელშეკრულების ახალი და ახალი დარღვევანი. რუსეთის გემებს, წინათ რომ ვრანგელის ხელში იყო, და საქართველოს ნავსადგურებში შევიდნენ, დაჟინებით არ აბრუნებენ. დარღვეულია აგრეთვე ხელშეკრულების მუხლი საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტის უფლების შესახებ და, ბოლოს, შეურაცხყოფილ იქნა რუსეთის დროშა ბათუმში. ყოველივე ამის გამო რუსეთმა და აზერბაიჯანმა საქართველოს შეუწყვიტეს ნავთობის მიწოდება.

„ჰოდა, აი ჭაობში ჩაეფლნენ! — მან ხელისგული დაარტყა მაგიდას. — სამშვიდობო ხელშეკრულება შეიძლება გადავდოთ განხილული ქაღალდების ყდაში. — ეშმაკმა იცის რა არის ეს! რასა ჰგავს მათი ქცევა!“ — ლურჯი ფანქრით ხაზი გაუსვა: „საქართველოს შეუწყვიტეს ნავთობის მიწოდება“.

მისი ყურადღება მიიპყრო ჩიჩერინის დეპეშამ ლორდ კერზონისადმი, რომელშიც გამოთქმული იყო პროტესტი ანტანტის განზრახვის წინააღმდეგ მოეხდინათ ქალაქ ბათუმისა და მისი ნავსადგურის ოკუპაცია.

მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, — წრე შემოავლო „ბათუმს“, თითქოს გარშემო თავდაცვას ქმნის შესაძლო ოკუპანტების წინააღმდეგო. — მაშ!..

„ბრიტანეთის აღნიშნული რადიოდეპეშების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბათუმს მართლაც ემუქრება ანტანტის ჯარების მიერ ოკუპაციის საფრთხე...“

მაშ, კვლავ ბათუმი. მერჩე რა გემრიელი ლუკმაა! ჯერ კიდევ ვერ მოესწრო კუკ-კოლისს სათანადოდ შეეფასებინა წითელი არმიის სამხრეთ რუსეთში გამარჯვების მნიშვნელობა და თავისი ჯავშნიანი ეტლები გაეყვანა, რომ მეფის ფლანგზე კვლავ დაიწყო ნავთობთან ფლირტი.

ბაქო რომ სამუდამოდ დაიკარგა, შეიძლება კვლავ გათამაშდეს ერთი ეტიუდი: შამათი ბათუმს ორ სვლაში — ესკადრა და დესანტი.

ინგლისელთა გეგმები ფანტასტიკას ესაზღვრებოდა. ლუი ფიშერი თავის წიგნში „ნავთობის იმპერიალიზმი“ წერდა:

„ერთადერთი კომერციულად შესაძლებელი გზა ჩრდილოეთ სპარსეთის ნავთობის საბადოებსა და გარე სამყაროს შორის არის ბაქო-ბათუმ-დარდანელის გზა. კიდევაც რომ შეიძლებოდეს ნავთობსადენის გაყვანა სპარსეთის ყურემდე, მაინც ნავთობის გადაზიდვა ზღვით ბუშირიდან ან სპარსეთის რომელიმე სხვა ნავსადგურიდან ევროპაში ბევრად უფრო გრძელი იქნებოდა, ვიდრე შავი ზღვით გადაზიდვა. მეტად მაღალი ფრახტი წარმოებას აუცილებლად საზარალოს გახდიდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, იმპორტიც მოწყობილობისა, რაც საჭიროა ჩრდილოეთ სპარსეთის სარეწებისათვის, და ნავთობის ექსპორტიც კავკასიაზე უნდა წარმოებდეს... საბჭოთა ბათუმის ნავსადგური კი არის ის ბუნებრივი პუნქტი, საიდანაც სპარსული ნავთობი მსოფლიო ბაზრებზე უნდა განაწილდეს“.

დიახ, ბათუმის საკითხი ერთობ დიდმნიშვნელოვანია! ნავთობის იმპერიალიზმი უტევს. ინგლისის პოლიტიკოსები და გენერლები იყენებენ მენშევიკური მთავრობის პანიკურ შიშს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და ცდილობენ კავკასიის პლაცდარმზე განახორციელონ თავიანთი აფრიკული და ინდური მეთოდი, საქართველოში მკაცრი კოლონიური რეჟიმი დაამყარონ.

საჭიროა მოქმედება, დაუყოვნებლივ მოქმედება!

თუ გუშინ კიდევ ადრე იყო, ხვალ შეიძლება გვიან იქნეს. ყდიდან, რომელიც „ცოცხალი



ლენინი ოქტომბერში.
სურათი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ივანე ვეფხვაძისა.

ცხოვრებით სულდგმულობდა“, მან ამოიღო ყველა დოკუმენტი, რაც კი საქართველოს ეხებოდა.

გვიანამდე მუშაობდა, წაკითხულ ქაღალდებს მაგიდის მარჯვენა მხარეზე აწყობდა, უკვე მთელი დასტა გახდა. წამდაუწუმ ტრიალებდა მოძრავი ეტაჟერი, რომლიდანაც საჭირო დოკუმენტებს იღებდა. უმუშევარი არ დარჩენილა არც „ნისკარტიანი“ შუშა, რომელშიც წებო იყო.

მთავრობის შენობის ფანჯრებში შუქი ჩაქრა, განათებული იყო მხოლოდ მესამე სართულის მეორე და მესამე ფანჯარა მარცხნივ. თებერვლის ქარი ნამქერს აყენებდა. ქონგურებიან გალავანზე გუშაგები იცვლებოდნენ და ქარის ზუზუნში, ინტერვალების ზუსტად დაცვით, უკრავდნენ კრემლის კურანტები.

იგი გარეთ გავიდა თხუთმეტი წუთით. მარშრუტი საყვარელი იყო — გზა სანაპიროზე. ძირს, მუხლების დონეზე, გაჭიმული იყო ქონგურებიანი გალავანი. ძლივს მოჩანდა ყინულით შესალტული მდინარე მოსკოვი.

როცა დაბრუნდა, სამაგიდო ტელეფონზე გამოძახების ლამპა ენთო, ერისქსონის ტელეფონს ზარი არა ჰქონდა. სასწრაფოდ აიღო ყურმილი. კარახანი ეძახდა, კიროვისაგან სასწრაფო ცნობა მოვიდაო:

„25 იანვარს მე-11 არმიის რევოლ. სამხ. საბჭოსაგან მიღებულია ცნობები, რომ აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო საზღვრის სხვადასხვა პუნქტში მდინარე მტკვრის გასწვრივ, წითელ და ფოილოს ხიდებს შუა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ჯარებმა სროლა აუტეხეს რუსეთის წითელი არმიის ნაწილებს...“

თებერვლის ქარი უბერავდა ჯვრის ხეობაში: ნისლი ფარავდა ხეობას მთლიანად, სადღაც მაღლა მოჩანდა ცეცხლი, თითქოს ცხენოსან ჯარს მიმართულებას უჩვენებსო.

საქართველოს სამხედრო გზაზე მიჰქროდნენ სახელგანთქმული მე-18 საკავალერიო დივიზიის ესკადრონები. ცხენდაცხენ მოდიოდნენ აჯანყებულთა რაზმები, რომელთაც ფაფახებზე წითელი ნაჭრები ეკეთათ.

რუსთა და ქართველთა შავი ნაბდები ერთ მრისხანე ნაკადად შერწყმულიყო.

განთიადი მტკვარზე აშუქებდა გზას. მარცხენა ნაპირით მიჰქროდა მე-4 ცხენოსანი პოლკი, მე-13 ესკადრონი ჭენებით მიჰყავდა კომისარ ობოლაძეს.

ვლადიმერ ილიას ძე დიდი მასშტაბის მოძრავი რუკის წინ იდგა. წრეში, რომელიც თბილისს აღნიშნავდა, მან ჯიქურ გადაადგილა პატარა წითელი ალამი.

მაგიდაზე იკლაკნებოდა ტელეგრაფის ლენტი: 1921 წლის 25 თებერვალს სერგო ორჯონიკიძე ხმამაღლა აცხადებდა:

ლენინს, სტალინს: თბილისში ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს.

ცხოვრების რიტმი ამ დღეებში უფრო გაძლიერდა. დღეღამეში ოცდაოთხი საათი საკმაო არ აღმოჩნდა, მაგრამ მან მოახერხა დაემორჩილებინა არა მარტო წუთები, არამედ წამებიც. დერეფანში ტელეგრაფისტები განუწყვეტლივ უჩხაკუნებდნენ მორზეა ანბანს. ლენტები შეიძლებოდა კილომეტრობით დაგეთვალა. არ დაყუჩებულა სახკომსაბჭოს სხდომათა დარბაზი.

„გადაეცით ქართველ კომუნისტებსა და სპეციალურად საქართველოს რევოლუციური კომიტეტის ყველა წევრს ჩემი მგზნებარე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი“...

ლენინის სალამი! სერგო უცქეროდა წითელ დროშას, იგი ფრიალებდა თბილისში, ცარიზმის შავ და მენშევიზმის ყვითელ რეჟიმთან ბრძოლის დროშას. ხალხი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ებრძოდა ტირანიას თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, იწყებდა ახალ ისტორიულ ერას — „სოციალიზმში გადასვლას“.

„ამოცანა ძნელია, მაგრამ სავსებით შეიძლება მისი შესრულება.—მიმართავდა ლენინი მოწოდებით აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის ამხანაგ კომუნისტებს... — მისი წარმატებით გადაჭრისათვის ყველაზე დიდმნიშვნელოვანია რომ ამიერკავკასიის კომუნისტებმა შეიგნონ მათი რესპუბლიკების მდგომარეობის თავისებურება რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ, რომ საჭიროა არა ჩვენი ტაქტიკის გადაღება, არამედ მოფიქრებულად მისი შეცვლა კონკრეტული პირობების განსხვავებასთან შეფარდებით...“

საქართველოს მოძრავ რუკას ახალი მნიშვნელობა მიეცა. გაქრა კლასობრივი ბრძოლების პუნქტირული ხაზები, ისინი მან ეკონომიკის პირობითი ნიშნებით შეცვალა. საქართველო შეიცავდა უდიდეს საწარმოო ძალებს, ისინი უნდა განვითარდეს, განვითარდეს რადაც უნდა დაჯდეს.

ზუზუნებდნენ ტელეგრაფის მავთულები. შორეულ სამხრეთში ისწრაფვოდა ლენინის განაწესი:

„...ეკონომიურად გამოყენებულ იქნას კაპიტალისტური დასავლეთი ყოველნაირად, გაძლიერებულად, სასწრაფოდ კონცესიების პოლიტიკასა და მასთან საქონელბრუნვაში. ნავთობი, მანგანუმი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მაღაროები), სპილენძი — აჰეთია სამთო სიმდიდრეთა არასრული ნუსხა. არის სრული შესაძლებლობა, რომ კონცესიების პოლიტიკა და საქონელბრუნვა საზღვარგარეთის ქვეყნებთან ფართოდ გაიშალოს“.

საქართველოს რევოლუციური კომიტეტი მოქმედების შტაბად გადაიქცა.

„თითქოს ძლიერი პროჟექტორის შუქმა გაანათა, — იგონებდა მ. ორახელაშვილი, — იმ განსაკუთრებული პოლიტიკური ამოცანების წრე, რომლებიც საქართველოში პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე იდგა“.

„...ჩვენ ვაკეთებდით პირველ რღვეულს მსოფლიო კაპიტალიზმში. რღვეული გაკეთებულია... — აღნიშნავდა ლენინი, — თქვენთვის საჭირო არ არის რღვეულის გაკეთება, უნდა შეძლოთ დიდი სიფრთხილითა და თანდათანობით შექმნათ ახალი“...

ახალი! საქართველოს ქალაქები და სოფლები ბნელს მოეცვა, უწყლო ველებში ქარშოშინი მეფობდა. გლეხობა გაჭირვებაში იყო.

სიბნელე! უწყლობა!

ლენინი აჩქარებდა, საჭიროა, საჭიროა, საჭიროა.

„...ერთბაშად ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტროფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, განაახლებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმში გადასვლას“...

გაჩაღდა სარწყავი არხების მშენებლობა. ასიგნებანი! ელდარის ველი! ფოთის ჭაობები! ბორჩალოს რაიონი!

მოქმედება! მოქმედება!

„ვასრულებთ რა ამხანაგ ლენინის პირდაპირ დირექტივას, —ამბობდა სერგო 1926 წელს, — ჩვენ არა მარტო აღვადგინეთ სარწყავი სისტემების ძველი, მიტოვებული ქსელი, არამედ ავაშენეთ და ვაშენებთ მთელ რიგ ახალ არხებს, რომლებიც ადიდებენ ვარგისი მიწების ფართობს“.

ლენინის დახმარება! მოხუცებს საქართველოში ახსოვთ, რა მნიშვნელოვნად გადიდდა სათესი ფართობები, როგორ გაუმჯობესდა მიწის დამუშავების კულტურა და როგორ ამაღლდა ცხოვრების დონე.

ეს პროგრესი უფრო მოგვიანებით მოხდა. იმ მკაცრ 1921 წელს კი საქართველოში გამეფებული იყო რღვევა — მენშევიკების მემკვიდრეობა.

ქალაქს ავარაყებდა ამომავალი მზის სხივები. გარეუბნებიდან მოისმოდა ორთქლმავლების კივილი. ისინი თითქოს შორეული სივრცეებისაკენ მოუწოდებდნენ.

სატვირთო ვაგონების პარკი საშინელ მდგომარეობაში იყო. მსოფლიო, სამოქალაქო ომი. მაგრამ ვაგონებს აგროვებდა ლენინის ხელი, სამხრეთისაკენ, საქართველოში მიექანებოდნენ ეშელონები. თვლების დააძუგს უსწრებდნენ და მავთულებით მიფრინავდნენ მისი სიტყვები:

„1921 წლის 7 ივლისი. დონის როსტოვი, სასურსათო კომისარიატის რწმუნებულს. ვითვალისწინებთ რა საქართველოს მძიმე სასურსათო მდგომარეობას, წინადადება გეძლევათ ივლისის განმავლობაში თბილისში, საქართველოს სასურსათო კომისარიატის მისამართით გაგზავნოთ 100 ათასი ფუთი პური. მიღება და შესრულება დაგვიდასტურეთ“.

მიუხედავად გაჭირვებისა, საბჭოთა რუსეთი საქართველოში გზავნიდა პურით, შაქრით, მარილით, თევზით. მანუფაქტურით დატვირთულ ახალ-ახალ ეშელონებს.

„მიიღეთ გადამჭრელი ღონისძიებანი ბაქოს და ამავე დროს საქართველოსა და სომხეთის მოსამარაგებლად“, — დაჟინებით მოითხოვდა ლენინი.

ეწყობოდა სულ ახალ-ახალი ეშელონები. მათ მიჰქონდათ საქართველოში საქსოვი ფაბრიკების მანქანები, სტამბის მოწყობილობა, სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

მიდიოდა ფულადი სახსრებიც: რვა მილიარდი მანეთი.

ეს როგორი იყო? „შეწყვიტეს საქართველოსათვის ნავთობის მიწოდება“ — გაახსენდა ლენინს თავისი ჩანაწერი და ბაქოდან თბილისისაკენ დაიძრნენ ცისტერნების გრძელი შემადგენლობანი.

ორი ზღვის ნაპირები ერთიან ეკონომიურ პროცესში ჩაებნენ. ლენინის პირდაპირი განკარგულებით კავკასიის რესპუბლიკები ერთ სამეურნეო ცენტრში გაერთიანდნენ.

შეუფერხებლად ამუშავდა ბაქო-თბილის-ბათუმის ნავთობსადენი. მისი მილები ჯვარის მონასტრის ხეობაში გადიოდა. აქ, სადაც საუკუნეთა განმავლობაში გამეფებული იყო ცეცხლის ვაქხანალია, სადაც ხალხმა ფოლადივით გამოაწრთო ორი გრძნობა: სიყვარული მეგობრისადმი და სიძულვილი მტრისადმი, ახლა წყდებოდა სისხლისმღვრელ დღეთა თვლა, მათს ნაცვლად დგებოდა სხვა დღეები, პროგრესის დღეები, ეროვნული აღორძინების დღეები.

ხოლო მტერს რომ ამიერიდან საქართველოს საზღვრები ვეღარ გადაელახა, ლენინი მოითხოვდა:

„...დაუყოვნებლივ შეაიარაღეთ მუშები და ღარიბესი გლეხები, შექმენით დიდი ქართული წითელი არმია“.

იქ, სადაც ერთმანეთს ერთვიან მტკვრისა და არაგვის ტალღები, ცეცხლის ვაქხანალია, ძველთაგანვე რომ ბობოქრობდა, სამუდამოდ უნდა შეეცვალა ელექტრობის ცეცხლს, მშვიდობისა და შემოქმედების ცეცხლს, ომის ჩირაღდანი — ილიჩის ნათურას.

ამიერკავკასიაში ელექტროფიკაციის სამუშაოთა დაწყების საკითხი ვლადიმერ ილიას ძემ სპეციალური განხილვისათვის დააყენა რუსეთის ფედერაციის სახკომსაბჭოს სხდომაზე და მთაველექტროს მიანდო კომისია გაეგზავნა საქართველოში. თვითონ იქ არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ ეგონა კი, ვიყავიო...

ჰილყვავები მოფრინდნენ. მდინარე მოსკოვი ხმაურით გაიარა ყინულმჭრელმა, ღია ფანჯრებში გაზაფხულის სიო შედიოდა, სუნთქვა სიამით შეიძლებოდა და ვლადიმერ ილიას ძე ახალი, საოცრად გამამხნევებელი ძალების მატებას გრძნობდა.

კრემლის კურანტები ზეიმოვანი სიზუსტით განაგრძობდნენ ჟამის მსვლელობის თვლას.

ახლოვდებოდა მაისი. ცარგვალი ლურჯი იყო. ლენინი ფანჯარასთან იდგა და ჩვეულებისამებრ სივრცეს გასცქეროდა. რაღაც გაახსენდა და უეცრად გაეღიმა.

მალე ოთხი წელი გახდება, ხოლო კავკასიისათვის ვალი ჯერაც არ გადაუხდია. გიორგის ჯვრები! — ოცი ფუთი ოქრო.

დარეკა და ფოტიევა გამოიძახა. ბლოკნოტის ფურცელზე ხელგასმით დაწერა:

„საქართველოს ელექტროფიკაცია. რუსეთის სფს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოიყოს 1 მილიონ 700 ათასი მანეთი ოქროთი საქართველოს სოციალისტური ენერგეტიკის პირმშოს მშენებლობისათვის“.

— ლიდია ალექსანდროვნა, — მიმართა მან ფოტიევას, — მომეცით გეთაყვა, გადათვალიერებული ქაღალდების ყდა.

ფოტიევამ მაშინვე მოძებნა საჭირო ყდა და ვლადიმერ ილიას ძეს მიაწოდა. მან ყდიდან, რომელიც „ცოცხალი ცხოვრებით სულდგმულობდა“, ამოიღო ნოე ჟორდანიას სიტყვის სტენოგრაფიული ჩანაწერი: „აღმოსავლეთის ფანატიკოსებს დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნია?“ და გადათვალიერებული ქაღალდების ყდაში ჩადო. — ჰოდა, ძალიან კარგი, ჩაბრძანდით არქივში!

თავისი განკარგულება 1 მილიონ 700 ათასი მანეთის ოქროთი გაცემის შესახებ იმ ყდაში ჩადო, რომელიც „ცოცხალი ცხოვრებით სულდგმულობდა“.

თარგმანი
არისტო ჭუმბაძისა.




РСФСР
Секретарь Члена Революционного Военного Совета Кавказского фронта
Баку 25/II 21 г. Ленину Сталину.
Над Тифлисом взвилось Красное Знамя Советской Власти.
Да здравствует Советская Грузия!
Орджоникидзе

ფოტორეპროდუქცია გ. კ. ორჯონიკიძის 1921 წლის 25 თებერვლის დეპეშისა ლენინისა და სტალინისადმი.

(დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 292.)

### ი. კოբალაძის დაბადების 60 წლისთავის გამო

# გამოჩენილი ტრაგიკოსი

საყვარელ მსახიობს მხურვალე ტაშით ხვდებიან არა მარტო მშობლიურ ბათუმში, არამედ თბილისშიც, ქუთაისშიც, ყველგან, სადაც კი თავისი აქტიორული ხელოვნება უჩვენებია. ასეთია ქართული თეატრის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე იუსუფ კობალაძე.

როგორც მსახიობი ი. კობალაძე ჩამოყალიბდა და დავაჟკაცდა რუსთაველის სახელობის თეატრის სტუდიაში, სადაც სცენური გარდასახვის საიდუმლოებას ეუფლებოდა დიდი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის უშუალო ხელმძღვანელობით. პირველად აქ გაიტაცა იგი ჰეროიკულმა თეატრმა, აქ შეიყვარა გმირულ-ტრაგიკული ხასიათები და ოცნებობდა გამხდარიყო ტრაგიკოსი. ეს ოცნება მან სინამდვილედ აქცია. საუცხოო თეატრალურმა სკოლამ და მდიდარმა ბუნებრივმა მონაცემებმა მსახიობს საშუალება მისცა ჩამოყალიბებულიყო ტრაგედიის დიდოსტატად. ქართულ თეატრში მან ასზე მეტი როლი შეასრულა, რომელთაგან დიდი უმრავლესობა ტრაგიკულ-გმირულია. მაყურებლებს ახლაც ახსოვთ მისი ბრწყინვალე გოჩა (ალ. შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა"), ბაზა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი"), ბაგრატიონი (ა. შერვაშიძის „მხედართმთავარი ბაგრატიონი"), კორადო (პ. ჯაკომეტის „დამნაშავის ოჯახი") და ბევრა სხვა. მაგრამ ყველა ისინი „დაჩრდილა" ისეთმა გმირულ-ტრაგიკულმა სახეებმა, როგორიც არის ოიდიპოსი, ოტელო და მინდია. სამივე ეს მხატვრული სახე არა მარტო მსახიობის, არამედ მთელი ქართული თეატრალური ხელოვნების თვალსაჩინო მიღწევაა.

განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა ი. კობალაძის ოიდიპოსს, რომელიც დღემდე რჩება უმაღლეს მწვერვალად მსახიობის შემოქმედებაში. ამ ანტიკური გმირის განსახიერებისას მთელი ელვარებით გამობრწყინდა მისი დიდი ტრაგიკული ტალანტი და აქტიორული შესაძლებლობანი, ფრიად ხაგულისხმოა, რომ „ოიდიპოს მეფე" უკვე ოცი წელიწადია ცოცხლობს ბათუმის სცენაზე და ყოველთვის, როცა ეს სპექტაკლი იდგმება, თეატრის დარბაზი ხალხით არის სავსე.



შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ი. კობალაძემ ძლიერ თავისებურად წაიკითხა სოფოკლეს პიესა და ოიდიპოსის შემზარავი თავგადასავალი აღიქვა როგორც სულით მაღალი, უაღრესად კეთილშობილური ადამიანის ტრაგედია. ამიტომ მის ოიდიპოსს შესაძლოა აკლდეს მეფური სიდიადე და სიდინჯე, მაგრამ სამაგიეროდ გამოირჩევა ცეცხლოვანი ტემპერამენტით და ღრმა ადამიანურობით. აქ მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, რომ მისი ცოდვა უნებლიე და შეუგნებელი იყო. როგორც მეფეს, ოიდიპოსს შეეძლო მიეჩქმალა სიმართლე, სხვებისათვის გადაებრალებინა ხახელმწიფოს უბედურება, მაგრამ ოიდიპოსი — კობალაძე ახეთი სულმდაბალი როდია. და სწორედ ეს მომენტი აქცია მსახიობმა მთელი სპექტაკლის ღერძად. ოიდიპოსმა არა მარტო აღმოაჩინა დამნაშავე, არამედ მკაცრადაც დასაჯა იგი. კეთილშობილი ადამიანი და სამშობლოს ნამდვილი პატრიოტი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა, რადგან არაფერი ისე არ რყვნის ადამიანებს, როგორც ბოროტმოქმედთა დაუსჯელობა.

ამ თვითდასჯამ კიდევ უფრო აამაღლა ოიდიპოსი და სავსებით ლოგიკურია, რომ თვალდათხრილი ოიდიპოსი-კობალაძე როგორც მისი წინამორბედნი სცენის სიღრმეში კი არ ეშვება, არამედ კიბით ზევით ადის, მაღლდება. თეატრის ისტორია, ალბათ, არ დაივიწყებს, რომ ახეთი ღრმად გააზრებული და სიმბოლური ფინალი „ოიდიპოს მეფეს" პირველად მსოფლიო სცენაზე ბათუმის თეატრმა გამოუნახა. თავისთავად ცხადია, მსახიობთან ერთად ეს სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორების არჩ. ჩხარტიშვილისა და შ. ინასარიძის დამსახურებაა.

ტრაგიკოსის უდავო ნიჭი გამოაშუქავნა ი. კობალაძემ შექსპირის „ოტელოშიც". მან წინა პლანზე წამოსწია ოტელოს ჰუმანური მისწრაფებანი, მისი უდიდესი რწმენა და სიყვარული ადამიანისა, გახადა იგი მთელი სპექტაკლის ღერძად და ამით კიდევ უფრო დაგვიახლოვა ვენეციელი მავრი, კიდევ უფრო შეგვაყვარა იგი. ოტელო-კობალაძე — ეს არის კეთილშობილი, პატიოსანი ადამიანი, რომელსაც არსებობის უმაღლეს მიზნად სიკეთის სამსახური მიაჩნია და ცოცხლობს ამაღლებული იდეალებით. მისი ხვედრი ტრაგიკული ხდება მოჭარბებული გრძნობიერების ღრმა და მეტისმეტად ძლიერი განცდების გამო.

„ოტელოს" ასეთმა წაკითხვამ მსახიობისაგან მოითხოვა აქტიორულ შესაძლებლობათა ამომწურავად გამოყენება. სირთულეს აქ უპირველეს ყოვლისა ქმნიდა ადამიანური გრძნობებისა და განცდების მრავალფეროვნება. ი. კობალაძემ დასძლია ეს სირთულე და დიდი ოსტატობით, ჭეშმარიტი შთაგონებით გადმოგვცა ოტელოს განცდების მთელი გამა — სიყვარული თუ ეჭვი, ადამიანის რწმენა თუ ურწმენობა, სიხარული თუ აღშფოთება, ბავშვური მიამიტობა თუ საშინელი მრისხანება. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მთელ რიგ სცენებში მსახიობმა მიაღწია უმაღლეს ოსტატობას.

ბრწყინვალე მხატვრული სახე შექმნა ი. კობალაძემ „მინდიაში". მსახიობისთვის ძლიერ ნაცნობი და სისხლხორცეული აღმოჩნდა ტრაგედიის ძირითადი იდეები — ჰუმანიზმი, მშვიდობა, ხალხთა ძმობა-მეგობრობა, პატრიოტიზმი. ადრე ი. კობალაძემ საუცხოოდ შეასრულა ზაზას როლი ვაჟას „მოკვეთილში". ახე რომ მსახიობი ყოველმხრივ „მშობლიურ გარემოში" მოხვდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი ღრმად და საფუძვლიანად ჩასწვდომოდა მინდიას რთულ, ფრიად ორიგინალურ და ძალზე პოეტურ სულიერ სამყაროს, მაგრამ იყო სიძნელეც. არც ოიდიპოსის, არც ოტელოსა და ბაზას ხასიათი სპექტაკლის მანძილზე არ იცვლება, იგი მხოლოდ ვლინდება. „მინდიაში" კი ასე არ არის. აქ მსახიობს პირველად მოუხდა ეჩვენებინა ტრაგიკული გმირის ხასიათის განვითარება, მისი იდეური ზრდის პროცესი.

ეს იყო არა მარტო მძიმე, არამედ შთამაგონებელი ამოცანა და მისი ბრწყინვალე გადაწყვეტით ი. კობალაძემ ახალი თვალსაჩინო შემოქმედებითი გამარჯვება მოიპოვა. მსახიობმა შესანიშნავად გვიჩვენა, თუ ცხოვრების ზეგავლენით როგორ თანდათან მაღლდება მეოცნებე მინდიას შეგნება. სამწუხაროდ, თბილისელი მაყურებელი არ იცნობს ი. კობალაძის არც „ოტელოს" და არც „მინდიას". ხოლო ქუთაისელმა და სოხუმელმა მაყურებელმა მარტო მინდია გაიცნო.

გარკვეული წვლილი შეიტანა ი. კობალაძემ ქართული საბჭოთა კინოს განვითარებაშიც. მაღალი შეფასება დაიმსახურა მისმა ბიძინა ჩოლოყაშვილმა კინოფილმ „ბაში-აჩუკში". წარმატება ხვდა მსახიობს აგრეთვე კინოფილმში „ორი ოჯახი". მაყურებელს მხედველობიდან არ გამორჩენია ი. კობალაძე არც ეპიზოდურ როლებში („მანანა", „აბეზარა").

დიდ შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად ი. კობალაძე აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი იყო პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის წევრი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ხოლო ამჟამად საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრია. ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ი. კობალაძე დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, საპატიო სიგელებით.

წინ ახალი ამოცანები, ახალი ფართო პერსპექტივებია. ვუსურვოთ ღვაწლმოსილ მსახიობს ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე და ახალი შემოქმედებითი გამარჯვება ქართული თეატრის, ჩვენი გმირი ხალხის, ჩვენი ლამაზი სამშობლოს სადიდებლად და საკეთილდღეოდ.

შოთა ქურიძე.



მ ხრმსა შლის, დღითიდღე იზრდება და ლამაზდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი. ვინ მოთვლის რამდენი შესანიშნავი ნაგებობა შეემატა ჩვენს ქალაქს მარტო ამ ერთი 1966 წლის მანძილზე და კიდევ რამდენი აშენდება მომავალ 1967 წელს. მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესო იქნება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ახალი კორპუსები დიღომში, რომლის მშენებლობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. აქ ფართო და ნათელ აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში სტუდენტებს სწავლისა და პრაქტიკული მეცადინეობის ყველა პირობა ექნებათ.

სურათზე: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ახალი კორპუსის მშენებლობის ხედი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## „ჯარისკაცის მამა" ინდოეთში

მტკიცე, გლეხური ნაბიჯით განაგრძობს მსოფლიოს გზებზე მოგზაურობას გიორგი მახარაშვილი...

ახლახან ცნობა მოვიდა ინდოეთიდან — ქვეყნის დიდი ქალაქების ეკრანებზე წარმატებით დაიწყო „ჯარისკაცის მამის" ჩვენება. მასთან ერთად უჩვენებენ დოკუმენტურ ფირებს — „დიადი გმირობის ოცი წლისთავი" და „ტაშკენტი — მშვიდობის ქალაქი". პროგრამას ერთდროულად უჩვენებენ რამდენიმე კინოთეატრში ინგლისურ და ჰინდი ენებზე.

ბომბეიში კინოთეატრ „ლიბერტიში" პრემიერის საზეიმო გახსნაზე გამოვიდნენ მახარაშტრას შტატის გუბერნატორი პ. ვ. ჩერიანი, მსახიობი რაჯ კაპური და სსრ კავშირის გენერალური კონსული ვ. ქ. ლობაჩევი. წაიკითხეს აგრეთვე მთავარი როლის შემსრულებლის სერგო ზაქარიაძის მისასალმებელი დეპეშა.

დარბაზში დამსწრეთა შორის იყვნენ ინდოეთის განსვენებული პრემიერ-მინისტრის ლ. ბ. შასტრის ვაჟიშვილები, რომლებმაც მადლობა გამოთქვეს დოკუმენტურ ფილმ — „ტაშკენტი — მშვიდობის ქალაქის" ავტორებისადმი.

რეჟისორმა ტაპან სინგხმა ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტებთან საუბარში თქვა:

— „ჯარისკაცის მამის" სულისკვეთება მახლობელია ყველა ქვეყნის ხალხებისათვის. ზაქარიაძე მთავარ როლში, უბრალოდ რომ ვთქვათ, ღვთიურია.

ხოლო ცნობილმა მსახიობმა ბასანტა ჩოუდჰურიმ დაუმატა:

— შესანიშნავი ფილმია, გასაოცარი აქტიორული ანსამბლით.

გიორგი მახარაშვილი — ჯარისკაცის მამა, თვითონ ჯარისკაცი და მიწათმოქმედი, სერგო ზაქარიაძის ბრწყინვალე შესრულებით მსოფლიოს 104 ქვეყანაში მოგზაურობის შემდეგ განგის ნაპირებსაც ეწვია, სადაც ინდოელმა მაყურებლებმა იგი მიიღეს როგორც მახლობელი და ძვირფასი ადამიანი.

**გენიკ სეირანიანი ● ნოველები**

## მეტყევე

მთის ფერდობზე მარტოდმარტო იდგა და დაბნეული მზერა გარემოსთვის მიეპყრო.

იმ ღამეს საშინელ ქარიშხალს გადაევლო ტყის თავზე და იგი გვერდზე გადაეწვინა. ქვემოთ ახწლოვანი მუხები და წიფლები გაწოლილიყვნენ... თითქოს გოლიათნი ჯიქურ შებმიან და ერთურთგადახლართულნი, ერთურთის ლახვრით გულგანგმირულნი დაცემულანო.

ირგვლივ სიწყნარეს დაესადგურა. ჰაერი იყო სუფთა, ბალახბულახი — ცვრიანი, მზე — მშვიდი, წყნარი.

ოღონდ ეს მხოლოდ გვეჩვენებოდა....

ქარიშხლისაგან ამოძირკვული, მიწაზე გართხმული ამ გოლიათების გარშემო დიდი ფუსფუსი იყო. ფუტკარი თვის სკას დაეძებდა, ფრინველი თვის ბუდეს, ჭიანჭველი — თვის ბორცვს და ციყვი — თვის ფუღუროს.

დაქცეულ-გავერანებულიყო ეს თავისებური სამყარო — თითქოს უჩინარი, უხილავი, მაგრამ მაინც ისეთივე ჭეშმარიტი და დიადი, როგორიც ის მეორე დიდი სამყაროა.

რამდენადაც ზევით იწევდა მზე, იმდენად გულშემზარავი ხდებოდა ტყის ტრაგედია. გეგონებოდა მიჯრით მიწყობილი უზარმაზარი კუბოებიაო, რომელთა გარშემო ვიშვიშებდნენ და გოდებდნენ — ფუტკარი სკისათვის, ფრინველი — ბუდისა, ჭიანჭველი — ბორცვისა და ციყვი — ფუღუროსათვის.

მთის ფერდობზე მარტოდმარტო იდგა მოხუცი მეტყევე და დაბნეული მზერა გარემოსთვის მიეპყრო.

ის არ იყო მგლოვიარე მამა, შვილთა ხაფლავზე მოსული, და არც მხედართმთავარი, ბრძოლის შემდეგ უკანასკნელად რომ ეთხოვება დაღუპულ გმირებს.

ის მხოლოდ და მხოლოდ მეტყევე იყო, რომელსაც გოლიათების სიკვდილი, ჭიანჭველების ტკივილი, ციყვის, ფრინველისა და ფუტკრის სევდა გულს ჩასწვდომოდა და დაემწუხრებინა.

ო, რა დიდი ხარ, გულო კაცისა, რამხელა სამყაროს იტევ მაგ შენს მუჭისოდენა ბუდეში...



## ჩემი პირველი მასწავლებელი

კარგა ხანია იგი დავიწყებული მყავს. ახლა მისი არც სახელი მახსოვს, არც გვარი და სახეც დიდი ხანია ამოშლილა ჩემი მეხსიერებიდან. მას შემდეგ ხომ თითქმის 40 წელზე მეტია...

ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო და, ჩანს ავადმყოფი, რადგან ასე ხშირად გვიცდენდა გაკვეთილებს და ჩვენც ადრე გვიშვებდნენ. გვიხაროდა. რა თქმა უნდა, არა მისი ავადმყოფობა, არამედ შინ ადრე წასვლა.

ერთხელ, როცა სკოლიდან ასე ადრე ვბრუნდებოდი, ამხანაგმა მანიშნა ერთ მთლად დაფუტუროებულ კარზე, ტროტუარისკენ რომ იღებოდა.

— აქ ცხოვრობს, — თქვა მან.

— ვინ? — ვკითხე.

— ჩვენი მასწავლებელი.

შემდეგ ფეხი აითრია და დაუშატა:

— არ შევუხვიოთ? ავადაა. იქნებ რა უნდა...

და ვუხვევთ ნარეცხი წყლის ლურჯ გუბეებში ჩაკარგულ ხელისგულისოდენა ეზოსაკენ, საიდანაც შევდივართ ოთახში.

მერე და რა ოთახი! — ხავსმოკიდებული, ნესტიანი სარდაფი. ავადმყოფი ტახტზე წევს, ახველებს, მის ახლოს ერთი მოხუცი ქალია, ჩანს დედა ან ნათესავი ვინმე. ისიც ახველებს.

ჩაის სვამდნენ, ტახტთან, ტაბურეტზე იდგა ორი ჭიქა ჩაი და ერთი თავი ხახვი იდო — გაფცქვნილი და შუაზე გაჭრილი.

ხახვით სვამდნენ ჩაის.

პირველად ვხედავდი. ძალიან გამიკვირდა.

ახლა, ვისაც ვეუბნები, არა სჯერა, მაგრამ, პატიოსნებას გეფიცებით, საკუთარი თვალით ვნახე.

სხვა რომ ყოფილიყო, შესაძლოა არც გამკვირვებოდა.

მაგრამ მასწავლებელი იყო, ჩემი მასწავლებელი.

ეს იყო და ეს.

ამის შემდეგ არც ის მინახავს და არც სხვა ვინმე, ხახვით რომ ესვა ჩაი, რა ხანია იგი დავიწყებული მყავს. არც სახელი მახსოვს მისი, არც გვარი და სახეც დიდი ხანია ამოშლილა ჩემი მეხსიერებიდან.

მხოლოდ ხახვიანი ჩაილა დამამახსოვრდა და ყოველ გახსენებაზე გული მეწვის და თვალები ცრემლით მევსება.

სომხურიდან თარგმნა
მ. თაქორიანმა.



## პირველ ადგილზე

სოხუმი. (საკ. კორ.). რკინიგზის ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა მომარაგებისა და საქონელბრუნვის გეგმის შესრულების საქმეში შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების სოხუმის განყოფილების კოლექტივმა (უფროსი ა. შონია). ჯესამე კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით სოხუმის განყოფილებას პირველი ადგილი მიეკუთვნა.

ამას წინათ მუშათა მომარაგების სოხუმის განყოფილებას საზეიმო ვითარებაში გადაეცა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშა.

## წინასაახალწლო საჩუქარი

ახალწლის წინადღეებში კარგი საჩუქარი მიიღეს თბილისის პირველი ავტოსარემონტო ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა.

ამ დღეებში ფართოდ გაიღო ქარხნის სასადილოს კარი, ვინც აქ წინათ არ ყოფილა, ამ რეკონსტრუირებულ შენობას ველარ იცნობს. სასიამოვნო ნათელი ფერებით შეღებილია და „დღის" სინათლით განათებულია სასადილო დარბაზი. დადგმულია ახალი მაგიდები და სკამები, რომლებიც ირეცხება. დარბაზში ერთდროულად ორას კაცს შეუძლია ისადილოს.

სამზარეულოს მოწყობილობა მთლიანად გამოცვლილია. შექმნილია მოსამზადებელი საამქროები — ბოსტნეულისა, ხორციხა და თევზეულისა — პროდუქტების წინასწარ გადასამუშავებლად. სამზარეულოს ძირითადი პროცესები მექანიზებულია — დადგმულია კარტოფილის საფცქვნელი, ხორცის საკეპი. ჭურჭლის ავტომატური სარეცხი. სასადილო უზრუნველყოფილია ცხელი წყლით.

იმათთვის, ვისაც ცივი საუზმე სურს, მოწყობილია ბუფეტი მაცივარდახლით. დიდი ასორტიმენტით არის გამაგრილებელი სასმელები და ცალობითი საქონელი.

სასადილოსთან შექმნილია საკონდიტრო საამქრო, სადაც საჭირო რაოდენობით აცხობენ ღვეზელსა და ფუნჩულას.

სიამოვნებას განიცდით, ამ სასადილოში რომ შეხვალთ და სუფთა მაგიდას მიუჯდებით. თქვენს განკარგულებაშია პირველი და მეორე კერძების დიდი ასორტიმენტი. გასაგებია, რომ სასადილოს შეფ-მზარეულს ს. გვიმრაძეს ბევრი საზრუნავი აქვს. შესვენების დროს ყველას სწრაფად უნდა მიაწოდოს გემრიელი საჭმელი. თანაც ყველაფერი ისე გაიანგარიშოს, რომ სადილების ფასი ხელმისაწვდომი იყოს, როგორც საწარმოს სასადილოს შეეფერება.

• • •





სურათებზე: მარცხნივ — შეფ-მზარეული ს. გვიმრაძე სამზარეულოში მუშაობისას; მარჯვნივ — სასადილო დარბაზში.

ტექსტი და ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## პარაშუტისტთა მსოფლიო რეკორდები

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ერთ-ერთ აეროდრომზე გაიმართა პარაშუტისტთა ასპარეზობა, რომელიც აღინიშნა საკავშირო და მსოფლიო რეკორდებით.

უჩვეულო წარმატება ხვდათ პარაშუტისტ ქალებს. მათ თითქმის ყველა სახეობაში ბრწყინვალე შედეგები უჩვენეს და მსოფლიოს ხუთი ახალი რეკორდი დაამყარეს.

თითქმის ურთიორად გააუმჯობესეს ამერიკელ პარაშუტისტთა მსოფლიო რეკორდი ჩვენმა ვაჟებმა ღამის ჯგუფურ გადმოხტომაში 1.000 მეტრიდან. წრის ცენტრიდან საშუალო გადახრა შეადგენდა 2 მეტრსა და 16 სანტიმეტრს.

სსრ კავშირისა და მსოფლიოს რეკორდებს დაამტკიცებს საპარაშუტო სპორტის საკავშირო და საერთაშორისო ფედერაციები.

## მინსკის საციგურაოზე

რამდენიმე დღეა მინსკში მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის ფიგურულ მოციგურავეთა საკავშირო ტურნირი.

ვაჟთა ასპარეზობაში სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამების შესრულების შემდეგ მოსკოველმა ვალერი მეშკოვმა 1.657,9 ქულა შეაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე იყო ლენინგრადელი ვ. კურენბინი, მესამე — მოსკოველი ს. ჩეტვერუხინი.

საინტერესო გამოდგა წყვილთა ასპარეზობა. აქ უძლიერესები იყვნენ თ. მოსკვინა და ა. მიშინი. შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ლ. ბელოუსოვასა და ო. პროტოპოპოვს.

## სპორტული ქრონიკა

△ დღეს დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტი და საქართველოს ავტო-მოტოსპორტის ფედერაცია ვაკე-საბურთალოს გზატკეცილზე აწყობენ საავტომობილო რკალურ რბოლას „სეზონის დახურვის პრიზზე". ასპარეზობაზე გამოვლენ სსრ კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები — ი. პოლტორაცკი, ვ. გლურჯიძე, ი. ვარდპატრიკოვი, შ. მამრიკიშვილი, შ. ზახაროვი და სხვები.

△ ინგლისელმა მსაჯებმა სეზონის სანიმუშო ფეხბურთელად ცნეს მსოფლიოს ჩემპიონის — ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი ბობი ჩარლტონი. ბ. ჩარლტონმა მსოფლიო ჩემპიონატზე სამი ბურთი გაიტანა და ერთადერთი ფეხბურთელია „ვარსკვლავთაგან", რომელსაც არც ერთი გაფრთხილება არ მიუღია. მსაჯთა გამოკითხვა მოაწყო გაზეთმა „დეილი მეილმა".

△ ალანის თასის მფლობელი — კანადის „დარმშელერ მაინერსის" ჰოკეისტები ტურნეს მართავენ ევროპაში. მორიგი მატჩი მათ გამართეს ქ. ვაისვასერში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

## ამინდი

გუშინ საქართველოში იდგა მშრალი ამინდი. რიონის ხეობაში ქროდა აღმოსავლეთის ძლიერი ქარი. მაგრამ დეკემბრის ბოლოსათვის უჩვეულოდ თბილოდა შავიზღვისპირა რაიონებში. ასე, მაგალითად, ბათუმში იყო 22, გეგეჭკორში — 20, გუდაუთსა და გალში — 19, გაგრაში, ოჩამჩირესა და ქობულეთში — 18 გრადუსი სითბო. თბილისსა და ბაკურიანში კი თერმომეტრმა 10 გრადუსი უჩვენა. ცხინვალში, მუხრანში, გარდაბანში, ფასანაურსა და ლაგოდეხში მაქსიმალური ტემპერატურა იყო — 9, ხაშურსა და მანგლისში — 8, თეთრ წყაროსა და ბოლნისში — 7, წალკასა და თიანეთში — 5 გრადუსი სითბო.

დღეს საქართველოში კვლავ მშრალი ამინდია მოსალოდნელი. მდინარე რიონის ხეობაში ისევ აღმოსავლეთის ზომიერი ქარი იქროლებს. ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ბარში 15-20 გრადუსი იქნება, მთაში — 10-15; აღმოსავლეთ საქართველოს ბარში კი 7-12, ხოლო მთაში — 1-5 გრადუსი. თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დაუბერავს ხუსტი ქარი, თერმომეტრი 10-12 გრადუსს უჩვენებს.

კომუნისტი პლიუსი

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

◆

### ტელევიზია

**25 დეკემბერი**

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 11.00 — „მაღვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ქართული მხატვრული ფილმი „მაია წყნეთელი", 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — კინონარკვევი, 17.40 — გადაცემა — „ღვაწლმოსილი მეცნიერი პროფესორი ა. უსტიაშვილი", 17.50 — კინონარკვევი, 18.00 — „წლის საუკეთესო სიმღერა" — საესტრადო სიმღერების ფესტივალი-კონკურსი (გადმოცემა მეოთხე); 18.50 — კინონარკვევი, 19.10 — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის — „იავნანა", 20.10 — მხატვრული ფილმი „თხელ ყინულზე" (II სერია), 21.40 — ლიტერატურული გადაცემა — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის შესახვედრად" — „მოსკოვის სამხატვრო თეატრი და რევოლუცია".

**26 დეკემბერი**

11.00 — კინონარკვევი, 11.20 — მხატვრული ფილმი „სანამ ცოცხალი ვარ", 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.40 — განცხადებები, 18.45 — გადაცემა — „ღვაწლმოსილი მეცნიერი პროფესორი ა. უსტიაშვილი", 18.55 — კინონარკვევი, 19.05 — გადაცემა „ლი... პუტატები" (სტუდიაში ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ს. ღლონტი), 19.20 — გადაცემა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შემსწავლელთათვის — „პარტია სოციალიზმის გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — სატელევიზიო ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება", 21.20 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე) 21.40 — მხატვრული ფილმი „სანამ ცოცხალი ვარ".

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

## დიდი მნიშვნელობის ვიზიტი

სტამბოლი, 23 დეკემბერი. (საკდესი). სტამბოლის გაზეთები დაწვრილებით აშუქებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის ვიზიტს თურქეთში. პრესა ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურის მოლაპარაკება თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან მიმდინარეობს გულწრფელობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში.

„დადგა დრო, — წერს გაზეთი „აქშამი", — აღვადგინოთ თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა და დავუბრუნდეთ ურთიერთობას, რომელიც ორ ქვეყანას შორის არსებობდა ათათურქისა და ლენინის პერიოდში. ეს მეგობრობა უაღრესად სასარგებლო იქნება როგორც ჩვენი ჩრდილოეთელი მეზობლის — საბჭოთა კავშირისათვის, ისე ჩვენთვისაც".

სტამბოლი, 24 დეკემბერი, (საკდესი). გაზეთებმა დაბეჭდეს სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გენერალური თავმჯდომარის ისმეთ ინენიუს განცხადება ა. ნ. კოსიგინის თურქეთში ვიზიტის გამო. „უკვე ახლა გამოირკვა, — თქვა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა, — რომ პატივცემული საბჭოთა პრემიერ-მინისტრის ვიზიტი მეტად სასარგებლოა. მთავარი, რასაც ახლა ვამჩნევ, ურთიერთნდობის ატმოსფეროა, ეს კი დიდი მიღწევაა".

## შეხვედრები ბრაზავილში

ბრაზავილი, 23 დეკემბერი. (საკდესი). ბრაზავილის კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ამბრუაზ ნუმაზალაიმ დღეს მიიღო საბჭოთა კავშირის აფრიკის ხალხებთან მეგობრობის ასოციაციის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზინაიდა კვაჭაძე.

მეგობრული საუბრის დროს ნუმაზალაიმ სტუმრებს გააცნო ის აქტუალური ამოცანები, რომლებიც დასახულია კონგოელი ხალხის წინაშე.

ბრაზავილი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ბრაზავილის კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა მასამბა-დებამ მიიღო აქ მეგობრულ ვიზიტად მყოფი აფრიკის ხალხებთან მეგობრობის საბჭოთა ასოციაციის დელეგაცია.

გულთბილ საუბარში მასამბა-დებამ კმაყოფილება გამოთქვა აფრიკის ხალხებთან მეგობრობის საბჭოთა ასოციაციის დელეგაციის კონგოში ჩამოსვლის გამო.

ბრაზავილი, 24 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ბრაზავილიდან მოსკოვს გამოემგზავრა საბჭოთა კავშირის აფრიკის ხალხებთან მეგობრობის ასოციაციის დელეგაცია.

ვიზიტის დამთავრების შემდეგ დელეგაციამ ბრაზავილში ხელი მოაწერა შეთანხმებას საბჭოთა კავშირის აფრიკის ხალხებთან მეგობრობის ასოციაციისა და კონგოს ხალხთა მეგობრობის ასოციაციის კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

საბჭოთა ასოციაციამ კონგოს ხალხთა მეგობრობის ასოციაციის დელეგაცია მიიწვია საბჭოთა კავშირში.

## ზამთრის ელჭექი ბერლინში

ბერლინი, 24 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო იუწყება, 23 დეკემბერს ღამით ზამთრისათვის უჩვეულო ამბავი მოხდა. ბერლინსა და სხვა რაიონებში ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი, ღამის ცას ელვა ხევდა. ზოგ ადგილას მოკლე ხნით მწყობრიდან გამოვიდა ელექტროგადაცემის ხაზები. თითქოს ბედის დაცინვააო, მეხი დაეცა პოტსდამის მეტეოროლოგიური სამსახურის შენობას.

◆

## წითელას ეპიდემია

ბრაზავილი, 24 დეკემბერი. (საკდესი). კინშასის კონგოს რესპუბლიკის ეკვატორის პროვინციაში წითელას ეპიდემიამ იფეთქა. როგორც კინშასის რადიო იუწყება, ამჟამად რეგისტრირებულია 35 სიკვდილის შემთხვევა. მთავრობამ გაგზავნა ექიმები, რათა სასწრაფო ღონისძიებანი იხმარონ ეკვატორის პროვინციაში წითელას ეპიდემიის შესაწყვეტად.

## საერთაშორისო ცხოვრება

კომუნისტი | თბილისი ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-98-03 9-03-09 პ/მგ მდივნის — 9-72-80 ხამდივნოხ — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 06180 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.